საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 12 ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე [illegible] ეველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის [illegible] მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.

[illegible] და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 258 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 258

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე არსენი ეგნატეს ძე სიგუა, დედა ნოჩო სიკოს ასული კიზირიასი და ძმა გრიშა მიხეილის ძე კიზირია აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ მათთვის დაუვიწყარი და უდროოთ ჩაფერფლილი

ანეტა მიხეილ კიზირიას ასულის სიგუასი

თავის პაწაწა ქეთუშათი

სულის მოსახსენებლათ იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი ქ. ფოთში საკრებულო ტაძარში, ხუთშაბათს, 13 ნოემბერს ახალი სტილით. (2970—1—1)

იონა გიტოს ძე და ეფროსინე ხარიტონის ასული კიზირიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის საყვარელი ნათლის დედის

ანეტა მიხეილ კიზირიას ასულის სიგუასი

და ნათლულის

პაწაწა ქეთუშასი

სულის მოსახსენებლათ გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ქ. ფოთში, საკრებულო ტაძარში ახ. სტილ. ხუთშაბათს, 13 ნოემბერს. (2970—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ძმები: პლატონ და კარპე, ძმისწული დათიკო მოდებაძეები და რძლები: ალექსანდრა, პაშა და ლუბა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი დის და მულის

პილასი სპირიდონის ასულის მოდებაძისას

გამოსვენება ქ. ჭიათურიდან, ს. კაცხში დღეს, 12 ნოემბერს და დაკრძალვა ამავე დღეს ს. კაცხში. (2966—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ვარლამ გ. ჯაში. დედა ელისაბედ მურადოვისა, რძალი კატო იასონის ასული, ძმა არტემ მურადოვი და შვილები: ზინა, ვერია და სანდრო ჯაშები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 18 ნოემბერს ახ. სტ. დილით სამშაბათს ს. ლესის ღვთისმშობლის ეკლესიაში დილის 10 საათ. გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი და უდროოდ დაკარგულის

ასინეთი მურადოვის ასული ჯაშის

სულის მოსახსენებლათ. (ფ. 1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა წარმონე, ძმა ამბროსი, დები: ვარვარე და ნადია, ბიძანები: ფილიპე და ქრისტეფორე, ბიძაშვილები: დათიკო, იოსები, ანიჩქა და ლიუდა თავბერიძნები, დაი და სიძე რუთია და რაფიელ, დისწულები: კუკური და ანგელინა კიწმარიშვილები, ნათლული ლიუდიკო. ფუცუ, მონათლული ლეონიდე თავბერიძნები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის გამო გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი

ვასილი ჯარისპანის ძე თავბერიძე

რკ. გზ. საავათმყოფოში. გამოსვენების დღე დანიშნულია 11 ნოემბერს, საიდანაც წაასვენებენ ს. ზენობანში (გურია), დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2963—1—1)

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა საჭიროებს

გამოცდილ ბუღალტერს

კავშირის მთავარ ბუღალტერის თანამდებობისათვის.

მსურველთ ვთხოვთ მოგვაწოდონ ცნობები თავის შესახებ წერილობით ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა კავშირის მთავარ კანტორაში (თფილისი, გლ. ბანის შესახვევი, სახლი № 15).

აუცილებელია ქართული ენის ცოდნა

ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირი საჭიროებს აგრეთვე სავაჭრო კორესპოდენტს, გარდა ქართულისა და რუსულის ცოდნისა აუცილებელია ევროპიული ენების ცოდნა. (ნ. 2—1)

საქართ. ცენტ. კოოპერატ. კავშ. ქართული დრამატ. სტუდია.

არტისტიული საზოგადოების თეატრი

ოთხშაბათს, გიორგობისთვის 12 ს 1919 წ. საღამოს 8 საათზე

ჰ. ჰაუპტმანი — ე. როსტანი

ჰანელე — რომანტიკოსნი

სანახაობა 2 მოქმ. — კომედია 1 მოქმ.

შემდეგ: სარწმუნოება, თეთრი ვახშამი, ავგაროზი.

რეჟისორი მ. ქორელი. — რეჟისორის თანაშემწე გ. ერისთავი.

შედგენილობა: ქალნი: ანჯაფარიძე ვ., გამრეკელი ბ., ეპიტაშვილი ს., ნოღდე ნ., ქოქიძე ან., ციმაკურიძე ელ., ლოლობერიძე თ., წერეთელი ნ., ჭავჭავაძე ს., ჩიქვინიძე ნ. ვაჟნი: აბაშიძე ვანო, ანთაძე ი., ბოჭორიშვილი მ., ველოვანი მ., გულიაშვილი მ., ერისთავი გ., ციხაძე წ., თაზიშვილი გ., სარჩიმელიძე გ., ქორელი მ., შათირიშვილი კ., ლამბაშიძე შ., ძნელაძე დ., ყიფშიძე გ., ქაფურელი მ., ჯაბადარი გ., ვასაძე ა., რეჟისორნი: ქორელი მ., შათირიშვილი კ., ჯაბადარი გ. სამხატვრო საბჭო: ამირეჯიბი შ., ერისთავი ნ., შარაშიძე შ., ცაგარელი ვ., გოგებაშვილი შ., ქავთარაძე პ., შევარდნაძე დ. რეჟისორის თანაშემწე: ერისთავი გ. სცენარიუსი: ანთაძე ი. სუფლიორნი: ბოჭორიშვილი მ., გულაშვილი მ. დეკორატორნი: ბაგატირიოვი პ., ნალეოვი გ. უფროსი მკერვალი: სიზრანოვი ა. შიკრიკი: სიდამონიძე ი.

(2—2) — სტუდიის დირექტორი: გ. ჯაბადარი.

ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი ამ მოკლე ხანში გამოსცემს ყოველ თვიურ სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალს

„ცისარტყელას“

ჟურნალს ექნება შემდეგი განყოფილებანი: 1. პოეზია, 2. ბელეტრისტიკა, 3. დრამა, 4. კრიტიკა და 5. ბიბლიოგრაფია.

უკვე შესდგა სარედაქციო კოლეგია შემდეგი პირებისაგან: 1. ივ. გომართელი, 2. ს. აბაშელი, 3. პ. ირეთელი, 4. არ. რუხაძე და 5. ობოლი მუშა.

რედაქცია შეუდგა მუშაობას და სთხოვს მწერლებს დაუყოვნებლივ მოგვაწოდონ მასალები შემდეგი მისამართით: ელისაბედის ქუჩა № 200, რკინის გზელთა ცენტრალურ კულტურულ განმანათლებელ კომისიას ჟურნალ „ცისარტყელასთვის“. (უფ. 3—1)

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 12 ნოემბერს. 1 საათზე მოხდება

საჯარო ვაჭრობა

ქალაქის ქუჩების სახელების წარწერების დასამზადებლად. მუშაობა ნავარაუდევია 500,000 მანეთი. (2952—2—2)

ქართველ მხატვართა საზოგადოება

სურათების საშემოდგომო გამოფენა

1) გამოფენაზე მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მხატვართ.

2) სურათების მიღება ხდება 10 დან 15 ნოემბრამდე დღის 12 ს. 2 საათამდე. („დიდების ტაძარი“, რუსთაველის პრ. № 13.)

(ნ. 2—1) — გამოფენის მომწყობი კომისია.

## გურია ისევ გურიაა!

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება გურიის ერობის თავმჯდომარის დეპეშა ბოლშევიკთა გამოსვლის შესახებ. დაწვრილებით ცნობები ჯერ კიდევ არ მოსულა. ვტყობილობთ მხოლოდ, რომ ავაზაკ-კომუნისტები დასხმიან სუფსას, ლანჩხუთსა და ჩოხატაურს. მაგრამ მოღალატეთა ბნელი და მზაკვრული საქმე ჩაიშალა. „სიხარულით და სიამაყით მოგახსენებთ ხალხის ერთსულოვნათ გამოსვლას დამცემლების წინააღმდეგ. გურიის ყოველ კუთხიდან მოდის რესპუბლიკის ერთგული ხალხი თავის მთავრობის იარაღით დასაცავათო“. გურიაში ბოლშევიკური გამოსვლის სრული ლიკვიდაცია უკვე მომხდარა და მრავალი მოღალატენი და ყაჩაღები გათოკილია.

გურია თვალია ჩვენი გლეხობის, ის სოფლის გულისშესაიდუმლეა, გლეხური დემოკრატიის ბელადი და მშვენებაა. გურია საქართველოს გლეხობის მასწავლებელია. „მასწავლებელმა ასე სთქვაო“ ამბობდენ ძველათ გარდაუვალ ავტორიტეტის შესახებ. „გურიამ ეს სთქვა, გურიას ასე უნდა“-ო ამბობდა და ამბობს დღესაც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის გლეხები. ბოლშევიკებმა იციან გურიის ფასი და მისი მნიშვნელობა. რამდენი ბოროტი ენერგია, საქმიანობა და ინტრიგანობა, რამდენი მოსყიდვა, ქრთამი და სხვა ბინძური და ქვენა ოინები უნდა დაეხარჯათ ბოლშევიკებს წინასწარ, რომ ასე თავხედურათ შედგომოდენ ასეთ დიდ საქმეს. როგორ გაბედეს ამ მუხანათებმა და ამ ბრმებმა გურიის ხელის შეხება. ვინ ეგონათ ამ გარეწართ, გურია, გურული ხალხი. ნუ თუ ამ ბრმებმა არ იცოდენ გურიის პოლიტიკური შეგნების დონე, მისი სიმტკიცე! გურია და გურულები მათ რიაზანელი „მუჟიკები“ ან „ხიტროვ რინოკის“ „ბასიაკები“ ხომ არ ეგონათ? როგორ იფიქრეს ამ საცოდავებმა, რომ გურია თავს შეირცხვენდა და ის კუთხე, რომელმაც არამც თუ საქართველოში, არამედ მსოფლიო დემოკრატიის ისტორიაში ულამაზესი და უმშვენიერესი ფურცლები ჩასწერა, რომ ის ბოლშევიკურ წუმპეში ჩაიფლებოდა და თავის ბრწყინვალე პატივსა და სახელს ოცდაათ ვერცხლათ მიყიდდა ვისმეს!? როგორ გაბედეს ამ წუპაკებმა გურიის ასეთი შეურაცყოფა; თუმცა განა მათ შეუძლიათ ვისმეს შეურაცყოფა! ისინი მხოლოდ თავის საკუთარი ადლით ზომავენ ყველაფერს. პოლიტიკურ მეძავეებს ეგონათ, რომ ფულით ყველაფრის, თვით გურიის ყიდვაც შეიძლებაო. მაგრამ სასტიკათ მოსტყუვდენ. შეგნებულმა გურულმა ხალხმა თავის კოლექტიური მუშტი ჩაკრა ღალატს თავში და სული გაანთხევინა მას.

ასე იცის გურიამ. ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს! გურია ისევ გურიაა!

კიდევ ვაშა მას!

**ამხანაგო ჯარისკაცნო! ვინც გარბის თქვენგან—ის მოღალატეა თქვენი, მოღალატეა ქვეყნის. ის გტოვებთ თქვენ, გაუძლურებთ და ასე ხელს უწყობს თქვენს დამარცხებას. თქვენი დამარცხება კი ქვეყნის დამარცხებაა. მიიღეთ ზომები ამის წინააღმდეგ.**

## პრესა

„საქართველომ“ ერევანში ალება მოინდომა. ამას წინათ ეროვნულ-დემოკრატთა ორგანოები სასტიკათ გაიწკეპლა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მათი არა მამულიშვილური ოპოზიციონერობის გამო. „ობნოვლენიემ“ მაშინვე ჩიქორთული პასუხი მოგვცა, ხოლო „საქართველომ“ სასირცხვო საქმე მართლა შეირცხვინა და ხმაც აღარ ამოუღია. ეს მოსაწონია. მაგრამ თურმე ბოღმა გულში დაგროვია და ერევანში ქინით გატაცებულმა ეხლა წამოანთხია. საბაბი თურმე იმით მივეცით, რომ ჩვენმა პარტიამ ყაჩაღთა და დეზერტირთა წინააღმდეგ ბრძოლის კვირა გამოაცხადა და ხალხს მოუხმო ამ საქმისთვის. გაზეთი სწერს:

„ყაჩაღობამაც იმატა რიცხვით. მძარცველთა და თავდამსხმელთა ბრბოები თავისუფლად თარეშობენ. მთავრობის ოფიციოზი—გაზეთი „ერთობა“ და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, მთავრობის ოფიციალი ორგანო, ამ სამი დღის წინად დიდის ანშლაგებით გამოვიდენ. „ერთობის“ მთელს სივრცეზე, ტექსტებ შორის, შავად აწყობილი მოწოდებებიც იყო დაბეჭდილი. ეს დიდი ანშლაგები და ის მოწოდებები გვაუწყებენ, რომ მთელს საქართველოში ყაჩაღობაა მოდებული და მოქალაქეს მის მოქალაქობრივ მოვალეობას მოაგონებდენ,—რომ მკაცრად შებრძოლებოდა ქვეყნის დამრღვევ ელემენტებს. ვინც ამ გაზეთებს დახედავდა, გამოიტანდა ერთად-ერთ შთაბეჭდილებას, რომ მთელი საქართველო მართლაც ამ ავაზაკთა და ყაჩაღთა ხელში იყო ჩავარდნილი და უკანასკნელ სულსა ლევდა. და ამ სასოწარკვეთილებაში გონება დაკარგული გაზეთები, ორივე—მთავრობისა, ამ მდგომარეობის ლიკვიდაციის მოხდენის უმთავრეს იმედს მთავრობაზე კი არ ამყარებდენ, არამედ პარტიულ კოლექტივებზე. ეს მარტო კურიოზი არ გახლავთ! ეს არის მმართველი პარტიის სრული უმწეობის უეჭველი პსიხოლოგიური გამომჟღავნება. ეს არის თავის სიკვდილის განაჩენზე საკუთარი ხელის მოწერა! მთავრობის ორგანოები, პასუხისმგებელ მთავრობასა და საყოველთაო სახელმწიფოებრივ აპარატზე კი არ ამყარებენ თავიანთ იმედს და მათ კი არ ეყრდნობიან, არამედ თავიანთ თავის ნუგეშს ისინი უპასუხისმგებლო პარტიულ კოლექტივებში ხედავენ, სიმძიმის ცენტრი აქ გადმოაქვთ!

„ჩვენ მაინც გვგონია, რომ საქართველო ყაჩაღების ხელში ამ ზომამდე არ არის ჩავარდნილი და ვფიქრობთ, რომ ამ ყაჩაღების ალაგმვაც არ იქნება საძნელო, თუ მთავრობამ მართლაც იხელისუფლა და თუ კოლექტივის წევრებს, ისე, როგორც დანარჩენ ხალხსაც იარაღი აყარა და მკაცრად მოეკიდა. უბედურება ისაა, რომ მთავრობამ მაგარი ხელი დღემდე ვერ გამოიჩინა და რომ დღეს მთავრობის ორგანოები ამ მაგარ ხელს პარტიულ კოლექტივებში დაეძებენ!!.

„ხომ ხედავთ, რომ ბალღებით სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელი ყოფილა, რომ ბოლშევიზმ-მენშევიზმის შორის ტრიალი და ყოყმანი ცუდი და დამღუპველი პოლიტიკა ყოფილა სახელმწიფოს საფუძვლის განსამტკიცებლად. უკუაგდეთ პარტიული მეთოდი და სასოფლო კოლექტივების პოლიტიკა, დაადექით გადაჭრით სახელმწიფოებრივ ლონისძიებას და პოლიტიკას. იყავით მკაცრი, ულმობელი იმათ მიმართ, ვინც ამბოხებას გვიწყობს საქართველოს დამხობის მიზნით. დამნაშავენი გაასამართლეთ ჩქარა და სწრაფად რესპუბლიკის მკაცრი სამართლით და დასაჯეთ. გამოიჩინეთ მმართველის ნამდვილი ხელი...“

გაზეთი ანალიზს უკეთებს ჩვენ ყოფაცხოვრებას, ეძებს ამ მოვლენათა უფრო ღრმა მიზეზებს. ნეტავ რეპრესიების გარდა, რას გვირჩევს ეროვნული დემოკრატების ორგანო? რამდენათ შეუწყობს ბოლშევიზმის აღმოფხვრას, რომ მამულები ხალხს ჩამოერთვას და მემამულეებს გადაეცეს? როგორი გავლენა ექნება ბოლშევიზმზე, რომ ერ. დემოკ. სოციალური პროგრამა გავატაროთ?

**ამხ. ჯარისკაცნო! აჩვენეთ უცხოს და შინაურს, რომ თქვენ ღირსი ხართ თავისუფლების. შეგიძლიათ მისი დაცვა, მისი მოვლა, პატრონობა.**

## არჩევნები საფრანგეთში

უკანასკნელ დროს საფრანგეთის არა მარტო სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული პრესაც უდიერად იხსენიებს რუსეთის რეაქციონერების მოღვაწეობას და ურჩევს თავის მთავრობას ზურგი შეაქციოს დენიკინელებს და გადასინჯოს თავისი შეხედულება როგორც რუსეთის გაერთიანების, ისე მისი მომავალი პოლიტიკურ სოციალური წყობილების შესახებ. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის ასეთი ცვლილების მიზეზად უნდა ჩაითვალოს არა მარტო დენიკინ იუდენიჩის დამარცხება, არამედ თვით საფრანგეთის ხალხის მარცხნივ გადახრა. საფრანგეთის დემოკრატია და მისი ბელადი—სოციალისტური პარტია—ყოველთვის წინააღმდეგი იყო რუსეთის საქმეებში ჩარევის, რადგანაც ეს ჩარევა გამოიხატებოდა ფაქტიურად იმ წრეების დახმარებაში, რომელნიც ფანტასტიურ მიზნებს ისახავენ რუსეთში—ძველი წესწყობილების აღდგენას. სოციალისტ. პარტიამ ამ მხრივ დიდი თანაგრძნობა მოიპოვა ფართო დემოკ. წრეებში, რომელიც უნდა განაღდდეს მომავალ (16 ნოემბერს) არჩევნებში. დღეს ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიმართავს საფრანგეთის ამომრჩევლებს და ვერ ეტყვის მას: ხმა მე მომეცი, რადგანაც დენიკინის ვეხმარებიო. „შორს რუსეთიდან“—ასეთია საფრანგეთის ერის დიდი უმრავლესობის სულის-კვეთება.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში მონარქიულ წრეებს (ჩვენ გადაჭრით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ისინი სახეში მისაღები არ არიან, როგორც უმნიშვნელო ჯგუფები), საფრანგეთის არჩევნებში გამოვა სამი მიმართულება. ლიბერალები და მემარჯვენე რადიკალები კლემანსოს მეთაურობით. შინაურ პოლიტიკაში ეს პარტია ზომიერ რეფორმების გზას ადგია. ჩვენ ვერ შევადარებთ, რასაკვირველია, ამ პარტიას, რომელიც დღეს სათავეში უდგას მთავრობას, მაგ. რუსეთის კადეტების პარტიას (დენიკინს რომ თავი დავანებოთ). სხვათა შორის ეს პარტია საერო სკოლების დამცველია, კათოლიკურ ეკლესიას ებრძვის, საყოველთაო საარჩევნო უფლებას არ აუქმებს. რუსეთის კადეტების პარტია კი დღეს უწმინდესი სინოდის ლოცვა კურთხევის ქვეშ იმყოფება. რუსეთის საქმეებში ბოლო დრომდის ეს პარტია აქტიურ ჩარევის და რუსეთის გაერთიანების დიდი მომხრე იყო. დღეს თუ სულიერად თანაუგრძნობს, რეალურად დახმარებას ვერ უწევს. საფრანგეთის პარლამენტში ეს პარტია კონსერვატიზმს ემსახურება.

მეორე მიმართულება—ეს რადიკალ სოციალისტები და დამოუკიდებელი სოციალისტებია. დამოუკიდებელ სოციალისტებს არაფერი საერთო არა აქვთ გერმანიის დამოუკიდებლებთან. ეს მიმართულება სიტყვით მაინც ფართო რეფორმების მომხრეა. სხვათა შორის ის მოითხოვს დიდ წარმოებათა სახელმწიფოს ხელში გადასვლას. რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგია. ყოფილ რუსეთის პატარა რესპუბლიკებს სიმპატიით უყურებს. არაფერი სწამს დენიკინის მოძრაობის და უფრო თანაგრძნობით ეპყრობა რუსეთის ზომიერ სოციალისტებს და რადიკალ რესპუბლიკანელებს. ამ პარტიას ეკუთნის დე-მონზი, რომელმაც ამას წინად საფრანგეთის პარლამენტში შეკითხვა შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის ცნობის შესახებ.

მესამე მიმართულება—ეს სოციალისტური პარტიაა, მემარცხენე ფრთა—ლორიოს მეთაურობით, კომუნისტურ პროგრამას იზიარებს, ცენტრი—ჟან ლონგის მეთაურობით, დემოკრატიულ პრინციპებს აღიარებს და მემარჯვენე—ალბერ ტომას მეთაურობით—რეფორმისტული გზით ფიქრობს სოციალისტურ სამეფოში შესვლას. სამივე მიმართულება დღემდის ერთ პარტიაში იმყოფება და ამ არჩევნებში ერთად გამოდის. პარტიის დიდი უმრავლესობისთვის—ევროპა და კერძოდ საფრანგეთი სოციალისტური აღმშენებლობის ხანაში შედის. რასაკვირველია, ეს პარტია წინააღმდეგია რუსეთის საქმეებში ჩარევის და მომხრეა, რომ საფრანგეთმა შეკრას ზავი საბჭოთა რუსეთთან. ახალ რესპუბლიკებს სიმპატიით უყურებს. საფრანგეთის სოციალისტებს დიდი იმედი აქვთ ამ არჩევნების. მათი მდგომარეობა ხელსაყრელია. ხალხი უკმაყოფილოა და ის ოპოზიციას მისცემს ხმებს. სინდიკალისტები, რომელნიც უწინ ომამდის არჩევნების ბოიკოტისაკენ მოუწოდებდენ მუშებს, ახლა სოციალისტებს ეხმარებიან.

16 ნოემბრის არჩევნებს, როგორც იტალიაში, ისე საფრანგეთში უდიდესი გავლენა ექნება ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაზე. რასაკვირველია, ჩვენი დემოკრატიის ბედიც ასე თუ ისე დამოკიდებულია მის შედეგებზე. ვნახოთ მომავალი კვირა რას გვეტყვის.

ბ. თეკლათელი.

P. S. იტალიის არჩევნებიც 16 ნოემბერსაა. გუშინდელ წერილში შეცდომით იყო დასახელებული 16 დეკემბერი.

ბ. თ.

**ამხ. ჯარისკაცნო! დეზერტირს არ უნდა ემსახუროს ხალხი თქვენთან ერთად. ნუ დაუშვებთ ამას. შეაგნებინეთ მათ თავის მოვალეობა. მისწერეთ და მოითხოვეთ უკან მათი დაბრუნება.**

## მკითხველის წერილები

П.

სასამართლო.

ბევრს სწერენ სასამართლოზე, მაგრამ კიდევ მეტს ლაპარაკობენ. ბევრს რასმეს უწუნებენ მას: აბრალებენ სიზანტეს, ლმობიერებას. ხშირათ გაისმის საყვედურის ხმები: ამა და ამ სასამართლომ ყაჩაღი ან მექრთამე გაამართლა, ამა და ამ გამომძიებელმა აშკარა ბოროტმოქმედი გაანთავისუფლაო. საკვირველი არაა, თუ ასეთ საყვედურებს დასკვნაც შესაფერი მოჰყვება ხოლმე: სასამართლო მეტი ბარგია, უმჯობესია ხალხმა თვითგასამართლებას მიჰყოს ხელი, უკეთეს შემთხვევაში ადმინისტრატიული აპარატიც საკმაოა ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად.

უნდა ვთქვათ გულახდილად, რომ დღევანდელი სამართლის აპარატი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, გასარჩევ საქმეების გაჭიანურება ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული, სასამართლოს ბევრი განაჩენი არ ეთანხმება ხალხის სულიერ განწყობილებას.

მაგრამ სიბეცე იქნებოდა, რომ მხოლოდ მშრალად აგვენიშნა ფაქტები და მოუფიქრებლად შეუფერებელი დასკვნა გამოგვეყვანა.

სასამართლო, როგორც ადმინისტრაცია, შინაურ ცხოვრების მოწყობის იარაღია. მიზანი ერთი და იგივე აქვს, როგორც პოლიციას, ისე იუსტიციას-საზოგადოებრივ წეს-რიგის და მყუდროების დაცვა, არსებული წესწყობილების შენარჩუნება. სასამართლო და ადმინისტრაცია ერთი და იგივე მედლის ორი მხარეა. არც მეტი არც ნაკლები. როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაცია სდევნის საზოგადოების მოწინააღმდეგე ელემენტებს, აშინებს, სტუქსავს მათ, ღებულობს წინასწარ ზომებს, რომ საზოგადოება და მისი მყუდროება უზრუნველყოფილ იქნას. საშუალება აქვთ მხოლოდ სხვადასხვა: ადმინისტრაცია უფრო აღმსრულებელია, სასამართლო კი მაჩვენებელი. ადმინისტრაცია დამხმარეა სასამართლოსი: ის სდევნის ბოროტმოქმედ პირებს, ეძებს, აპატიმრებს და სასამართლოს აძლევს ხელში; ეს უკანასკნელი კი დამნაშავეს ასამართლებს, ე. ი. მსჯელობს თუ რამდენათ ღირსია ის დასჯის და შესაფერ სასჯელს მიუსჯის. დროსა და

# დღეს

ამერიკის ცნობებით ზავის კონფერენცია თავის საქმეებს დაასრულებს არა უგვიანეს 1 იანვრისა. ამერიკის დელეგაცია დაბრუნდება შინ და მოკავშირეთა შორის შუამავლის როლს თავს დაანებებს. მოკავშირეებმა ღირსეულად ვერ დააფასეს ამერიკის შრომა და შეერთებული შტატების უადგილო კრიტიკით თავის მიზნების მიღწევას ცდილობდნენ.

შვეიცარიაში რევოლიუციის დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა.

ამერიკის მთავრობამ ბრძანება გასცა დააპატიმრონ და ამერიკიდან გააძეონ 200 ბალშევიკი.

ბალშევიკების ცნობით ამერიკის ფლოტი ხამხედრო წესებზე გა-მოცხადდა.

ბალშევიკების ცნობით ხერბიელებსა და კროატელებს შორის მკაცრი ბრძოლა სწარმოებს.

ბერლინში მთავრობამ დამოუკიდებელთა შტაბ ბანაკი დაიჭირა, სადაც იპოვეს საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დამოუკიდებლები კომუნისტებთან ერთად პროპაგანდას აწარმოებდენ საყოველთაო გაფიცვების სასარგებლოდ. დაატყვევეს 16 კაცი.

ტობოლის რაიონში წითელმა ჯარმა უსტ იშიმი აიღო. სხვა ფრონტებზე მკაცრი ბრძოლებია

გარემოების მიხედვით ხან სასამართლოს აქვს მეტი გავლენა, ხან ადმინისტრაციას: ადმინისტრაცია ძლიერდება რევოლიუციისა და ანარქიის დროს. ამ შემთხვევაში კლასი კლასს ებრძვის, ჯგუფი ჯგუფს და, რასაკვირველია, სამართლიანობა და სიდინჯე ადგილს უთმობს შურისძიებას და საკუთარ ტყავის გადარჩენის საკითხს. სასამართლოს პრინციპია: უმჯობესია განთავისუფლდეს 9 დამნაშავე, ვინემ 1 უდანაშაულო დაისჯებოდეს. ადმინისტრაცია კი ამბობს: არც ერთმა დამნაშავემ არ უნდა დაიძვრინოს სასჯელისაგან თავი, თუნდაც ამას 9 უდანაშაულოს დაღუპვაც მოჰყვეს.

რაც რომ რუსეთს მოვშორდით, ჩვენ მუდამ საფრთხის წინაშე ვდგევართ: ხან გარეშე მტერი გვემუქრება, ხან შინაური ანარქია, რომელსაც ისევ გარეშე მტრების აგენტები აღვივებენ. გარედან ბლოკადა და შინ ხშირი მოუსავლობა, ხალხის გაჭირვება სპეკულიანტების მიერ კიდევ უფრო გაძლიერებული—ყველაფერი ეს არაჩვეულებრივ ატმოსფერას ქმნის. ამიტომ უსამართლოდ მიგვაჩნია ის გამოლაშქრება, რომელსაც ხშირად აქვს ადგილი ჩვენი სასამართლოს წინააღმდეგ, უკეთ რომ ვსთქვათ, თვით სასამართლოს პრინციპის წინააღმდეგ. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ რევოლიუციურ ხანაზე, ერთი რამ უტყუარია: საზოგადოებას არ შეუძლია ხანგრძლივად თვითნებობის ატანა და სადაც სასამართლო არაა, იქ თვითნებობაც აუცილებელია. ეს დებულება ერთობ მარტივია, იმდენად მარტივი, რამდენადაც მათემატიკაში აქსიომა, მაგრამ თვითნებობის ფსიხოზი იმდენად ძლიერია კიდევ, რომ ქუთათურმა „სოციალ-დემოკრატმა“-ც კი კატეგორიულად განაცხადა: სენატი რა საჭიროაო.

მაგრამ მართლა როგორია ჩვენი აზრით ჩვენი იუსტიცია, რაა მიზეზი იმის, რომ ჩვენს სასამართლოს ბევრი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს. ყველაზე უფრო უწუნებენ სასამართლოს სიზანტეს, უმოძრაობას. ეს მართალია. მაგრამ მიზეზს არავინ კითხულობს. მიზეზი კი ორგვარია: ერთი ის, რომ ადმინისტრაცია თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევს სასამართლოს, რის დამამტკიცებელია ასეთი ანეგდოტისებური ამბავი: თფილისში მილიცია ვერ პოულობს ნოტარიუსის კანტორას, ხოლო ქუთაისში თვით მილიციის უფროსს. გარდა ამისა მკითხველს აცნობება, რომ ჩვენში მომქმედი სასამართლოს წარმოების წესი ბევრ უკულმართობას შეიცავს და სასამართლოს ნება როდი აქვს ეს წესი შესცვალოს. ეს გარემოება მილიციის უმოქმედობასთან ერთად ქმნის იმ შედეგს, რომელსაც საქმის გაჭიანურება ეწოდება. საჭიროა ამ საქმეში თვით იუსტიციის სამინისტრო ჩაერიოს და თვით გამონახოს ის გზა, რომელიც სასამართლოსთვის მიუწდომელია. პირად შემადგენლობითაც ვერ სდგას სასამართლო სასურველ სიმაღლეზე, მაგრამ ამის მიზეზია ის მცირე ჯამაგირები, რომელიც რიგიან ხალხს ვერ მიიზიდავს. არის ბევრი სხვა ნაკლი, რომლის გამოსწორება თითონ სასამართლოს არ შეუძლია. ყველა ნაკლის ჩამოთვლას ჩვენ არ შეუდგებით, მაგრამ ერთი რამ კი უნდა ვთქვათ: არ არის სასარგებლო, როგორც ამბობენ ხოლმე, საბანელიდან წყალთან ერთად ბავშვის გადაგდებაც.

სასამართლო სახელმწიფოში აუცილებელი დაწესებულებაა და ყველა უნდა ცდილობდეს მის ამაღლებას და არა დამცირებას. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სამართლიანი და მორიდებული კრიტიკით, უმთავრესად კი იმ მიზეზების მოსპობით, რომელნიც იწვევენ სასამართლოს აპარატის მოშლას.

ყველა ამას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. პირად შემადგენლობაზე სენატი და ერობები იზრუნებენ, მაგრამ დახავსებულ კანონების შეცვლა და ადმინისტრაციის დახმარების მოწყობა იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა უნდა იკისრონ.

ერთი იქხი.

# ჯარსა და გვარდიას

გვარდიელებო და ჯარისკაცებო!

ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა განსაცდელშია და ის თქვენგან ითხოვს შველას.

თქვენ არა ერთხელ და ორჯერ გიხსნიათ ის; არა ერთხელ და ორჯერ მიგიშვერიათ თქვენი გულმკერდი მისი მტრისათვის და მოგირწყავთ თქვენის სისხლით თავისუფალი სამშობლოს მთა და ველი.

ვინ ჩამოთვლის იმ გაჭირვებას, რაც თქვენ აგიტანიათ ნორჩი რესპუბლიკის გულისათვის!

ყოფილა ისეთი წამები, როდესაც დაღუპვას, ჩვენი იმედების განადგურებას თითქოს ორ ნაბიჯზედ ვუყურებდით, მაგრამ თქვენს ვაჟკაცობასა და თავგანწირვას მოუხდენია სასწაული და დაუმარცხებია გალაღებული მტერი, ხელახლა აუყვავებია ჩვენი იმედები.

ჯერ არ დამდგარა დრო თქვენი ღვაწლის დაფასებისა, მაგრამ ახლობელი მომავალი უკვე გიწნავთ უკვდავების გვირგვინს და უმზადებს სამარადისო ძეგლს თქვენს სახელსა და დიდებას.

საქართველოს დემოკრატიას დღეს კიდევ სცდის ბედი.

თქვენ ერთხელ კიდევ უნდა დაუმტკიცოთ მას, რომ დემოკრატიასთან ერთათ ხართ და მის საქმეს დაიცავთ მთელის თქვენის რწმენით, მთელის თქვენის ვაჟკაცურის გატაცებით, დაიცავთ თქვენის მარჯვენით, თქვენის მკერდით, დაიცავთ მედგრათ და თან სასტიკათ.

მტერმა იშოვა თქვენს შორის რამოდენიმე მოღალატე, ორიოდე იუდა და მათის შემწეობით ჰლამობს თქვენს დამარცხებას.

მაშ იცოდეს მტერმა, რომ იუდასა და მოღალატეებს არსად არ დაუმსახურებიათ არაფერი გარდა ზიზღისა, სიძულვილისა და შეჩვენებისა.

სამარცხვინო ბოძი, ზიზღი და შეჩვენება თქვენს მოღალატეებს!

გაიხსენეთ ჯერ კიდევ თბილი საფლავი თქვენი უკვდავი ამხანაგებისა და ის გეტყვის, რა უნდა ჰქნათ თქვენ დღეს: უნდა გასწმინდოთ ჩვენი რესპუბლიკა ყველა მტრისაგან, გასწმინდოთ სასტიკათ, შეუბრალებლათ!

აქამდინ თქვენ იყავით ლმობიერნი, მტერმა ვერ დააფასა, მტერმა ეს ლაჩრობაში, სიმხდალეში ჩამოგართვათ.

დღეს უნდა იყოთ სასტიკი, მკვეთრი, გალომებული,—ამას გავალებსთ თქვენი ამხანაგების წმინდა საფლავები, ამას ითხოვს თქვენსაგან თქვენის მარჯვენით, თქვენის ვაჟკაცობით, თქვენის სისხლით აშენებული რესპუბლიკა.

თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ჩვენი რესპუბლიკა არ იქნებოდა; თქვენ რომ არ აგეღოთ იარაღი ხელში ჩვენი რესპუბლიკის დასაცავად, მას აქამდე მტერი გაანადგურებდა.

თქვენ შეგიძლიათ თამამათ იამაყოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა თქვენ შექმენით.

და დღეს ეს რესპუბლიკა ხელ ახლა მოგიწოდებსთ თავის ღირსეულ დარაჯებს და მოგმართავთ: დამეხმარეთ, მომაშორეთ მტერი, რომელიც ჩემს გათელვას ჰლამობსო.

ჯარისკაცებო და გვარდიელებო! ვის გაათელვინებთ იმ რესპუბლიკას, რომელიც თქვენვე გადაარჩინეთ ათასგვარ გაჭირვებას და რევოლიუციის ქარცეცხლში თქვენ გამოიტანეთ თქვენის ვაჟკაცობითა და გულადობით?

არავის!

იცოდეს ყველამ—მტერმაც და მოყვარემაც: სანამ ჩვენი ჯარი და გვარდია ჩვენს რესპუბლიკას თან ახლავს, რესპუბლიკა უძლეველია! ჯარისკაცებო და გვარდიელებო! საქართველოს ისტორიაში ბევრი ბრწყინვალე ფურცელია, ერთი ასეთი ფურცელი თქვენ გეკუთვნით.

თქვენი სახელი უკვე ჩაწერილია იქ ოქროს ასოებით და ვინ ამოშლის ამ ასოებს?

ვერავინ! ვერასოდეს!

მტერი მოდის თქვენს წინააღმდეგ ყაჩაღებისა და დეზერტირების რაზმებით.

მათი განიავება თქვენთვის თამაშია.

თქვენ შეხვედრიხართ პირისპირ მართლაც ძლიერ მოპირდაპირეს, მაგრამ არ შეუდრკარა თქვენი გული და მტერი დაგიფრენიათ.

დღეს ქურდები, ყაჩაღები, ქვეყნის მოღალატენი და უდანაშაულო ხალხის ამომწყვეტნი დარაზმულან!

და მერე იცით, ვის წინააღმდეგ? ჩვენი ჯარისა და გვარდიის წინააღმდეგ!

ღირსეული გაკვეთილი თავხედებს! დღეს გეძლევათ საუკეთესო შემთხვევა, რომ ერთხელ და სამუდამოთ გაანთავისუფლოთ თქვენი რესპუბლიკა ისეთი ნაძირალებისაგან, რომლებიც ქვეყნის მოწყობასა და დემოკრატიის გაბედნიერებას წინ ელობებიან.

ქურდი, ყაჩაღი, გამცემი, კაცის მკვლელი, დეზერტირი—ყველა სათოკე დღეს ჩვენში თავის თავს ბალშევიკს უძახის, რომ ხალხი შეცდომაში შეიყვანოს.

გველმა რამდენი კანიც უნდა გამოიცვალოს, მაინც გველია და გველი.

ყველა ამ ნაძირალებს საკუთარი ჯიბე ამოქმედებს, საშოვარზედ არიან გამოსული.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. ამათაც სწორეთ ამიტომ უნდათ ქვეყნის არევ-დარევა, რომ გაუსვან და გამოუსვან, გაჰკრან და გამოჰკრან და ჯიბეები დაიტენონ.

დემოკრატიული რესპუბლიკა ჩვენ არ მოგვწონსო!

რასაკვირველია, ყაჩაღებსა და დეზერტირებს არავითარი რიგიანი წყობილება არ მოსწონთ: სადაც მტკიცე წყობილება მყარდება, იქ ქურდების, ყაჩაღებისა და დეზერტირების აღსასრული დგება.

დაინახეს თუ არა, რომ ჩვენში დემოკრატიული რესპუბლიკა თანდათან თავის კალაპოტში დგებოდა, ყაჩაღებმა და დეზერტირებმა იგრძნეს, რომ მათი დასასრული ახლოვდებოდა და ერთხელ კიდევ შეეცადენ ქვეყნის დანგრევას. ჯარისკაცებო და გვარდიელებო! თქვენი ამხანაგების საფლავები გიხმობთ თქვენ და გავალებთ, შეუბრალებლათ გაანიავოთ რესპუბლიკის დამქცევნი და მოღალატენი.

სადაც წესიერი ცხოვრების მაგიერ არევ დარევა და ანარქია არის, ყაჩაღებისა და დეზერტირების აღდგომაც სწორეთ იქ არის.

მითხარით, სად მომხდარა, როდის, რომელ ქვეყანაში, რომ ყაჩაღებსა და დეზერტირებს სახალხო საქმე ეკეთებინოთ, ხალხი გაებედნიერებინოთ?..

თქვენ მუდამ თოფით ხელში დარაჯათ მდგომნი, რომლებსაც არა ერთი და ორი საუკეთესო ამხანაგი შეგიწირავთ ხალხისათვის,—თუ თქვენ ვერ გააბედნიერებთ ხალხს, ყაჩაღები და დეზერტირები გააბედნიერებენ?

— ჟორდანიას მთავრობა, თქვენს მარჯვენაზედ დაყრდნობილი—თუ ვერ განუმტკიცებს ხალხს ახალ ცხოვრებას, ყაჩაღებისა და დეზერტირების მთავრობა განუმტკიცებს?

გვარდიელებო, ჯარის კაცებო! აქამდინ თქვენ აშენებდით ჩვენს რესპუბლიკას. ნუ თუ დღეის შემდეგ ამ აშენებას ყაჩაღებსა და დეზერტირებს მიანდობთ?

არასოდეს!

ყოველი დიდი განსაცდელის დროს ხალხი თქვენ შემოგჩერებოდათ, თქვენგან ელოდა შველასა და ხსნას.

ხალხი მართალი იყო: თქვენ ყოველთვის ღირსეულად გაგიმართლებიათ მისი იმედი.

დღესაც თქვენსკენა აქვს ხალხს თვალი და ყური: გეხვეწებათ ის, გევედრებათ, მომაშორეთ ეს ყაჩაღები და არამზადები და ყოველისფერს ავიტანო.

ჯარისკაცებო და გვარდიელებო! ყაჩაღებმა და დეზერტირებმა გაუწყვიტეს სიცოცხლე ჩვენს მშრომელ ხალხს, ჩირქი მოსცხეს და სახელს უტეხენ თქვენს რესპუბლიკას.

ფიალა მოთმინებისა აივსო! დადგა ჟამი თქვენის მრისხანებისა.

ქვეყანა ელის ჰქას თქვენი მრისხანებისას.

დასჭექთ!

ივ. გომართელი.

**ამხ. ჯარისკაცნო! დაეხმარეთ ყველას, ვინც აშენებს ჩვენს ქვეყანას. შეებრძოლეთ იმათ, ვინც ანგრევს ამ ქვეყანას. ეს ხომ თქვენი ქვეყანაა.**

# საქართველოს გარშემო

## იტალია და საქართველო.

(იტალიის პრესის აზრი არგენტინის რესპუბლიკის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ).

არგენტინის რესპუბლიკის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია იტალიის პრესაში. იტალიის გაზეთებმა ამ აქტს ვრცელი წერილები უძღვნეს, რომლებიც აღსავსეა მხურვალე სიმპატიებით საქართველოსადმი. გაზეთი „მესაჯეერო“ სწერს: „არგენტინის მთავრობამ 15 სექტემბრის დეკრეტით იცნო ფაქტიურად არა მარტო დამოუკიდებლობა, არამედ აღიარა სახელმწიფოებრივი თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოსი. ეს მოწმობს იმას, რომ ქართველი დემოკრატები და სოციალისტები ღირსნი არიან ნდობისა. ერთ წელზე მეტია, რაც არსებობს კავკასიის რესპუბლიკა, რომელმაც გამოიჩინა უნარი წესრიგის და პროგრესისა. ჩვენში პოლიტიკურ ზეცებს არ სურთ დაინახონ ეს; არგენტინა აფასებს მდგომარეობას ობიექტიური თვალსაზრისით და იძლევა მაგალითს, რომელსაც უნდა მიმართონ სხვა ნეიტრალურმა სახელმწიფოებმაც. სამწუხაროა, რომ იტალიის მთავრობა არ არის ამის ინიციატორი, თუმცა მას ჰქონდა ამისათვის ხელსაყრელი პირობები. არის კიდევ დრო გამოსწორდეს ეს ნაკლი“.

გაზეთი „ტრიბუნა“ სწერს: „პირველი მთავრობა, რომელმაც ოფიციალურათ აცნო საქართველოს ახალი სახელმწიფო, არგენტინაა—ნეიტრალური ხალხი, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი საზავო კონფერენციის დადგენილებით, ამისათვის ასეთ ცნობისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ პარიზის მუშაობის დამთავრების შემდეგ, როდესაც აღდგენილ იქნება თავისუფალი მოქმედება, სხვა მთავრობებიც არ დააყოვნებენ საქართველოს ცნობას და პირველ ყოვლისა იტალიის მთავრობა, რომელიც სიმპატიით, სოლიდარულის გრძნობებით არის აღჭურვილი ახალ აღორძინებულ საქართველოს სახელმწიფოსადმი“.

„ილ პოპოლო“ სწერს: ეს ქვეყანა (საქართველო) საუცხოვოთ მართავს თავის სახელმწიფოს საკუთარ ძალებით. ქვეყანა მდიდარი, რომელშიაც მოსახლეობს ენერგიული ხალხი—და რომლებიც დიდი სიმპატიით არიან აღჭურვილნი ჩვენი ქვეყნისადმი. იტალია, ყველაზე პატარაა დიდ სახელმწიფოებს შორის და ყველაზე დიდია პატარა ერებში. ჩვენი მატერიალური და სულიერი ინტერესები მოითხოვენ, რომ იტალიამ თავის საქმეთ დაისახოს დამოუკიდებლობა იმ ხალხების, რომელთაც სწყურიათ თავისუფლება და სიცოცხლე. ამით იტალია დიდ სიმპატიას მოიპოვებს ევროპაში“. დასასრულ გაზეთი მოუწოდებს თავის მთავრობას, „დაუყონებლივ აღიაროს საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს სურთ ყველა იმ ადამიანებს, რომლებიც თანამედროვე თვალსაზრისზე სდგანან“.

**ამხ. ჯარისკაცნო! აჩვენეთ მაგალითი, ასწავლეთ ყველას, როგორ უნდა დაცვა ხალხსა და მის ინტერესებს. თქვენ ხომ ხალხის შვილები ხართ.**

# უკანასკნელი ცნობები

## კომუნისტების კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები.

(მთავრობის განცხადება)

**თფილისი.** ნოემბ. 11. გასულ 24 ოქტომბერს რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეებში მოწყობილი გამოსვლა რესპუბლიკის მტრებისა, მთავრობის მიერ მიღებული ზომებით და ხალხის მისდამი მტრული დამოკიდებულებით სწრაფ ჩაქრობილ იქნა. მიუხედავათ ამისა რესპუბლიკის მტრებმა ხელ ახლა სცადეს სხვა და სხვა კუთხეებში ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მით ჩვენს ქვეყანაში არევ დარევის გამოწვევა. ნოემბრის 9, დილით, სოფ. ახალქალაქში და მეჯვრისხევში (გორის მაზრა) შეთქმულების მონაწილეებმა დაატუსაღეს ადგილობრივი ადმინისტრაცია და სათემო თვითმართველობის წევრები, ხოლო სოფელ მეჯვრისხევში გარდა ამისა მილიციის ადგილობრივი უფროსი. სახალხო გვარდიისა და სამაზრო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომებით რამოდენიმე საათის შემდეგ მეამბოხენი შეიპყრეს და სრული წესიერება აღდგენილ იქმნა. შეთქმულებაში უმთავრეს მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივი სამიკიტნოების პატრონები, რომელნიც წინეთ დაშნაკცუტიუნის პარტიის წევრებათ ითვლებოდენ, გარდა ამისა ადგილობრივ ქურდ-ბაცაცები. დაპატიმრებულნი რიცხვით 40 კაცი სასამართლოს გადასცეს. ქ. ლანჩხუთში ნოემბრის 9 დილის 3 საათზე ბალშევიკებმა ხელთ იგდეს ყველა ადგილობრივი, საზოგადოებრივი და მთავრობის დაწესებულებანი, დაწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები და დაატუსაღეს ქალაქის საბჭოს ხმოსანი წილოსანი, ადგილობრივმა სახალხო გვარდიის შტაბმა, მიიღო სასწრაფო ზომები და რამდენიმე საათის შემდეგ მეამბოხენი, რიცხვით ასი კაცი, შეიპყრო. შეტაკებისას მოკლულ იქმნა ერთი გვარდიელი. მეამბოხეთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ გურიის სხვა რაიონებიდან გამოწვეული ბნელი პირები, უმთავრესად ყაჩაღები და ქურდ-ბაცაცები. ამავე დღეს დილის 5 საათზე ბალშევიკებმა ხელში ჩაიგდეს სოფ. სუფსა და დაეპატრონენ ადგილობრივ დაწესებულებებს. იმავე დღესვე ჯავშნიანმა მატარებელმა ადგილობრივ გვარდიის და მილიციის დახმარებით აღადგინა სრული წესიერება და შეიპყრო 40 კაცი. შეტაკებისას მოკლულ იქნა სამი გვარდიელი.

ნოემბრისავე 9 ბრბომ ხელთ იგდო დ. ჩოხატაური, გამოაცხადა იქ საბჭოთა მთავრობა და დაატუსაღა სახალხო გვარდიის შტაბის წევრი ჩიგოგიძე. მეამბოხეთ ხელმძღვანელობდენ ცნობილი ყაჩაღი პაიჭაძე, ინგლისელი ექიმის მკვლელი და აგრეთვე ცნობილი ყაჩაღი შანტაჟისტი გიორგი ძნელაძე. შეპყრობილია მრავალი მძარცველი. მთელს გურიაში ხალხმა ენერგიული მონაწილეობა მიიღო შეთქმულებათა ბრბოს წინააღმდეგ მოქმედებაში. ყველგან სრული წესიერება აღდგენილია. ამბოხების ყველა მონაწილენი გადაეცემიან განსაკუთრებულ სასამართლოს ადგილობრივ გასასამართლებლად. (ს. დ. ს.).

## „ერთობის“ რედაქციას.

(დეპეშა)

გურიის ამბავი ალბათ უკვე მოგეხსენებათ. ლანჩხუთში, სუფსაში და ჩოხატაურში შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეს. სიხარულით გაუწყებთ ხალხის ერთსულოვან გამოსვლას დამცემლების წინააღმდეგ. ყოველი კუთხიდან მოდის რესპუბლიკის ერთგული ხალხი, რომელიც მზათაა თავისი მთავრობის იარაღით დასაცავათ. ლანჩხუთში, სუფსაში და ჩოხატაურში ბევრი დამცემლებია დაჭერილი, რომლებიც დაისჯებიან. უკვე მოხდა სრული ლიკვიდაცია.

სამაზრო ერობის თავმჯდომარე ხ. ჭან ტურიშვილი.

**ვინც ყაჩაღსა და დეზერტირს ფარავს, ის ავაზაკის თანაზიარია.**

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

11 ნოემბერი.

### ბალშევიკური ცნობები.

**მოსკოვი.** ნოემ. 10. სამხედრო ცნობა. ნოემ. 10. იამბურგის მიმართ. წითელი ჯარი წინსვლას განაგრძობს. ურიუპინის რაიონში ბრძოლის შემდეგ ურიუპინსკაია დავსტოვეთ და მტრის შემოტევას ვაჩერებთ. ასტრახანის აღმოსავლეთით 70—80 ვერსზე მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. დანარჩენ ადგილებში შეტაკებები ადგილობრივი ხასიათისაა, ალექსანდროვ-გაისს რაიონში ჯარი შეტევაზე გადავიდა, დაიჭირა შილნაია ბალკა. პეტრეპავლოვსკის რაიონში სად. ისილკულზე ჩვენი ჯარი შეტევას აწარმოებს, და პეტრეპავლოვსკიდან აღმოსავლეთით 110 ვერსზე იმყოფება. ჩრდილოეთით ჩვენი შეტევა ვითარდება. იშიმის რაიონში ტიუმენ-ომსკის რკინის გზის ჩრდილოეთით მთელ ფრონტზე ჩვენ მდინარე იშიმს მივაღწიეთ და მის მარჯვენა ნაპირზე შეტევას განვაგრძობთ. ტობოლის რაიონში ჩვენმა ჯარმა აღმოსავლეთით 185 ვერსზე უსტიშიმი დაიჭირა. აქედან წავიყვანეთ 400 ტყვე და ხელში ჩავიგდეთ დიდძალი ქონება.

**ლიონი,** ნოემბ. 8. სოფიიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის მთავრობამ დააპატიმრა რადოსლავის პარტიის თვალსაჩინო წევრები. ბულგარეთის მთავრობამ გადადგა აგრეთვე ნაბიჯი, რომ მეზობელ სახელმწიფოები აიძულოს გასცენ ყოფილი მეფე ფერდინანდი, რადოსლავოვი და ზოგიერთი გენერლები.

აგრამიდან იუწყებიან, რომ სერბიელებსა და კროატელებს შორის მკაცრი ბრძოლა სწარმოებს.

**ორშა,** ნოემბრ. 8. ჩვენ მხარეზე გადმოსულთა და ტყვეების სიტყვით პოლონელების ზურგთ უკან მუშები და გლეხები ხშირ აჯანყებებს ახდენენ

**სამარა,** ნოემ. 8. ამერიკასა და იაპონიის შორის გამწვავებული მდგომარეობის გამო ამერიკის ფლოტი სამხედრო წესებზე გამოცხადდა.

**ჟიტომირი,** ნოემ. 7. პრაგიდან მიღებულ ცნობებით იქ სოციალისტებს სასტიკათ სდევნიან. პრაგის მუშები აღელვებულნი არიან და საპროტესტო დემონსტრაციებს მართავენ. შეეცადენ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. მოხდა სროლა, მრავალი მოკლული და დაჭრილია. დაიჭირა პარლამენტის ორი წევრი.

**ლიონი,** ნოემბრის 8. ნოსკეს ბრძანებით, ბერლინში ჯარისკაცთა რაზმმა დამოუკიდებელთა შტაბ ბანაკი დაიჭირა, სადაც ნახეს მრავალი საბუთები და ბრო შიურები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დამოუკიდებლები კომუნისტებთან ერთად პროპაგანდას აწარმოებდენ საყოველთაო გაფიცვების სასარგებლოთ. დაატყვევეს 16 კაცი. ბერლინიდან მოსული ცნობით, კომუნისტებმა გამოუშვეს მოწოდება, სადაც ხალხს მოუწოდებენ მოაწყონ ქუჩებში მანიფესტაციები. სამხედრო მინისტრმა ნოსკემ განაცხადა, რომ მთავრობა ამ მანიფესტაციების ნებას არ მისცემს და მიტინგებს ძალით დაშლის..

**ნაუენი.** 9 ნოემბ. ჰააზეს დასაფლავება ხუთშაბათს მოხდება დიდის ზეიმით, რომელსაც დამოუკიდებელთა პარტია აწყობს.

ეხლა, როგორც სჩანს, თითქმის ყველა იმ აზრისაა, რომ უმაღლეს საბჭოს თავისი საქმეების დასრულება არ შეუძლია, თუ რუსეთის და ოსმალეთის საკითხებს არ გადასწყვეტს. პოლიტიკური მდგომარეობა [illegible] არ აძლევს ერთი მეორეს [illegible] ევროპის სახელმწიფოებს ახლავე დაიწყონ ოსმალეთის [illegible] გამო თითქმის [illegible] განსაკუთრებული [illegible] ოსმალეთის საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევათ. ბულგარეთის ხელშეკრულებას, უთუოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოაწერენ ხელს და თუ ევროპის სახელმწიფოები შეთანხმდებიან რუმინიის საქმეებში, მაშინ უმაღლესი საბჭო ახლო მომავალში იცნობს უნგრეთის მთავრობას და ხელშეკრულებას დასდებს მასთან. მიუხედავათ იმისა, დასრულდება თუ არა ბალკანეთზე უთანხმოება, საზავო კონფერენცია თავის საქმეებს დაასრულებს არა უგვიანეს 1 იანვრისა. ამერიკის დელეგაცია დაბრუნდება შინ და მოკავშირეთა შორის შუამავლის როლს თავს დაანებებს. მოკავშირეებმა ღირსეულად ვერ დააფასეს ამერიკის შრომა და შეერთებული შტატების უადგილო კრიტიკით თავისი მიზნების მიღწევას ცდილობდნენ. ამერიკის დელეგაცია ყველაფერს 1 იანვრამდე ჩააბარებს. და ამერიკის დელეგატები სამშობლოში დაბრუნდებიან. სეკრეტარი გრიუ და სმოლლი პარიზშივე დარჩებიან, რათა შეთანხმების კომისიაში ამერიკის წარმომადგენელ უოლესთან ერთად იმუშაონ, რასაკვირველია, თუ ამერიკა ამაზე დათანხმდება.

პორტუგალიის მისია იუწყება, რომ 200,000 ჯარში გაწვეულ კაცისაგან პორტუგალიამ უგზო-უკვლოთ დაჰკარგა 8367 კაცი.

შვეიცარიაში „რევოლიუციის დღემ“, რომელიც სოციალისტებმა 7 ნოემბრისათვის დანიშნეს, მშვიდობიანათ ჩაიარა. პოლიციას მიტინგებისთვის ხელი არ შეუშლია და არც დაუპატიმრებია ვინმე.

### ფრანგული პრესის ცნობები.

ამერიკის მთავრობამ ბრძანება გასცა დააპატიმრონ და ამერიკიდან გააძეონ 200 ბალშევიკი.

### იტალიური პრესის ცნობები

გამარჯვების წლის თავი დიდის ზეიმით იდღესასწაულეს პრაგაში. მოხდა მანიფესტაციები ნიშნათ ჩეხო სლოვაკების და იტალიის არმიის ღრმა პატივისცემისა.

### გერმანული პრესის ცნობები.

ელზას ლორენის საკითხი ვერ გადასწყდება პარიზის ძალა უფლების პოლიტიკით. საქმის მომავალი განვითარება დაგვანახვებს, რომ „განთავისუფლებულნი“ ელზას ლორენის მცხოვრებნი ფრანგები არ არიან.

გერმანიის სახელმწიფო თავდაცვის მინისტრმა და გერმანიის მთავარ სარდალმა ისევ დაამტკიცეს თავის განკარგულება, რომელიც უკრძალავს: 1) გერმანიის ჯარის ნაწილებს ჩაეწერონ რუსების სამსახურში, 2) გერმანიის ნაწილების მიერ რუსეთის არმიისთვის რეკრუტის დაგროვებას, 3) რუს სამხედრო ტყვეებში რეკრუტის დაგროვებას, 4) გერმანიის ჯარის მონაწილეობას რუსის ჯარისთვის მასალის მოწოდების საქმეში.

**ვინც ყაჩაღსა და დეზერტირს არ ებრძვის, ის არ არის მოქალაქის სახელის ღირსი.**

# იუსტიციის სამინისტროში

## ბალშევიკურ აჯანყების საქმის გამოძიება.

იუსტიციის სამინისტროს დავალებით, უკანასკნელ დღეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მომხდარ ბალშევიკურ აჯანყების საქმის გამოძიების დასაჩქარებლად მიღებულია საგანგებო ზომები. ხსენებულ საქმეების გამოძიება გადაეცემა არა უბნის გამომძიებლებს, რომელნიც დატვირთული არიან თავის ჩვეულებრივ საქმიანობით, არამედ ოლქის სასამართლოს რამოდენიმე წევრს, რომელნიც განთავისუფლებულნი იქნებიან თავისის პირდაპირის მოვალეობის ასრულებისაგან და მთელს დროს მოანდომებენ კომუნისტების საქმეების გამოძიებას სხვადასხვა რაიონებში. სათანადო მიწერილობა უკვე გაეგზავნა თფილისის ოლქის სასამართლოს და (დეპეშით) ქუთაისისას. სოხუმის ოლქში ბალშევიკების საქმის გამოძიებას აწარმოებს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ხსენებულ საქმეების გამოძიების თვალყურის დევნა პირადათ დაევალა სასამართლო პალატის ახალ დანიშნულ პროკურორს მ. ა. ტატიშვილს. ამასთანავე იუსტიციის სამინისტრომ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო გამომძიებლების განკარგულებაში საგანგებო რაზმის რამდენიმე გამოცდილ თანამშრომლის გაგზავნა, ხოლო სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს—ადგილობრივ შტაბებისათვის მიწერა, რომ გამომძიებლებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ. სამინისტრომ აგრეთვე სასწრაფო შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ათ მილიონიან ფონდიდან 50 ათასი მანეთის გადადების შე-

# დეზერტირობა და ყაჩაღობა თავისუფლების დამღუპველია

## ბრძოლა მათთან სასტიკი და დაუნდობელი. არც ერთი ავაზაკი, არც ერთი დეზერტირი არ უნდა დარჩეს სამართალში მიუცემელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ხებ ბოლშევიკების საქმის გამოძიების მოწვეულ საგანგებო ხარჯების დასაფარავად.

**გამომძიებლების თათბირი.**

...ორშაბათს, ნოემბრის 11 ს, იუსტიციის დეპარტამენტის მართველის გ. თ. ...რდანიას განკარგულებით მოწვეულ ...ქნა სამინისტროში ქ. თფილისის და ...ილისის მაზრის გამომძიებელთა თათ...ირი იმ მიზეზების გამოსარკვევად, რომ...ებიც აფერხებენ გამოძიების წესიერად ...მოებას. შემუშავებული იყო და დაუ...ნებლივ ცხოვრებაში გატარდება მთე...ი რიგი ღონისძიებათა საგამომძიებლო ...ქმის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყე...ნებლად. ამავ მიზნით კვირას ნოემბრის 16-ს, მოწვეულ იქნება მეორე თათბი...რი. ასეთივე თათბირის მოწყობა განზრა...ულია ახლო მომავალში ქუთაისში.

# ახალი ამბები

**ბათომის ქართველთა ეროვნული** სა...ო წინადადებას აძლევს თავის მო...ლეებს, რომ ამის გამოცხადებიდან ...რთი თვის განმავლობაში გადაუხადონ ...ბჭოს ის ფულები, რომლებიც მათზე ...რიცხება, წინააღმდეგ შემთხვევაში მა...ი გვარები იქნება გამოცხადებული და ...თ წინააღმდეგ მიღებულ იქნება კანო...ური ზომები. ვალის გადახდა შეიძლე...ა საქართველოს რესპუბლიკის საქა...ქო და საერობო თვითმართველობე...ს სალაროებში.

✦ **დაშნაკელთა ახალი წევრი დამფუძნებელ კრებაში.** საქართველოს დამფუძნებელი კრების დაშნაკცუტიუნის ...რაქციის წევრმა დავიდხანიანმა კრე...ის წევრობაზე უარი განაცხადა, მის ...დგილას დამფუძნებელ კრების წევრათ ...რიცხულია დაშნაკელთა მორიგი კან...იდატი ტერ სტეფანიანი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, ...ღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსი...ტეტის ქართულ განყოფილებებში და...ნიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 5 განყოფილება (წმ. ნინოს რაიონი) 1. ...ირემაშვილი „ეკონომიური საკითხე...ბი", 2. ალ. წერეთელი „ისტორიიდან". 7 განყოფილება (საბურთალო) 1. მ. ...ლამბერიძე „ქიმია", 2. ტ. ართმელა...ძე „ერი და ჯარი". 8 განყოფილება (ავლაბარი) 1. დ. ასათიანი „საფრან...გეთის რევოლიუციიდან", 2. ეპ. ალ...ბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე", 3. ს. დოლიძე „ქართული მწერლობა".

✦ **მილოცვა.** სიღნაღიდან სენატის თავმჯდომარემ შემდეგი მისალოცი დე...პეშა მიიღო: „სიღნაღის მაზრის მოსამართლეთა ყრილობა გულწრფელ სა...ლამს უძღვნის საქართველოს პირველ სენატს და უსურვებს მას ნაყოფიერებას საქართველოს კანონიერების და სამართლის დაცვაში. ყრილობის თავმჯდომა...რე შალვა ტატიშვილი."

✦ **ახალქალაქის მცხოვრებთა დახმარება.** სომეხთა ეროვნულმა საბჭომ საქართველოში დაადგინა: გაგზავნოს ...0 ფუთი სიმინდი ახალქალაქის მცხოვრებთა დასარიგებლად ღირებულ ფა...სებში. სიმინდიდან აღებული ფული დაახლოვებით 45000 მ. გადაეცემა სეს...ხად ახალქალაქის რაიონის კოოპერა...ტივს.

✦ **სომეხთა ახალი საქველმოქმედო საზოგადოება.** სომეხთა ახალი საქველ...მოქმედო საზოგადოება შეუდგა თავის ...მოვალეობის ასრულებას. გუშინ პრეზი...დიუმმა ინახულა თავშესაფარი და სხვა ...დაწესებულებანი.

✦ **სენატში.** სენატის წევრმა სიდა...მონ—ერისთავმა სენატის თავმჯდომა...რის სახელზე და დამფ. კრების პრეზი...დიუმში განცხადება შეიტანა, რათა იგი განთავისუფლებულ იქნას სენატორო...ბიდან.

✦ **სტუდენტთა დახმარება.** სახელ...მწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო გან...ყოფილების სასარგებლოთ, მეორე ქარ...თულმა კლუბმა თავის მოგებიდან გა...მოიღო 15,525 მანეთი. პირველმა კი 811 მანეთი, წიგნების შესაძენათ.

✦ **ს. ს. დ. მ. პ.** ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ამხ. ქომალავას ხე...ლით სენაკის სამაზრო ს.-დ. კომიტეტი...საგან ხუთასი მანეთი პროცენტის გა...დასახადი.

✦ **პროფესორ დ. კუდრიავსკის წი...გნი:** „როგორ ცხოვრობდენ ადამიანები ...ძველად". ახალი გამოცემა. გაზეთების ...აგენტო და გამომცემლობა „იმერე...თი" (ყოფილი „კოლხიდა") ქუთაისში ...შეუდგება მესამე გამოცემას პრო...ფესორ კუდრიავსკის ზემოდ აღნიშნულ ...წიგნისას, რომელიც განათლების სამი...ნისტროს საისტორიო კომის. ამ დღეებ...ში მოიწონა საქართველოს რესპუბლიკის ...სკოლებში სახმარებელ სახელმძღვანე...ლოდ პირველ ყოფილ კულტურის შე...სასწავლად, წიგნი ხელმეორედ გადმო...ქართულებული იქნება მეოთხე რუსულ ...გამოცემიდან და მას დაერთ...ვის ოცამდე სურათი, პირველ ყოფილ ...ადამიანთა ცხოვრებიდან. მთარგმნელს, ...ქვეცარიძეს უკვე ამ დღეებში გაეგ...ზავნა განათლების სამინისტროს დირექ...ტორ ვეკოლ ბერიძისაგან წინადადება ...დაამოწმება ხსენებულ წიგნის მოწონე...ბის, შესწორების და გამოცემის შესა...ხებ.

**ქ რ ო ნ ი კ ა.**

დღეს, საღამოს 5 საათზე, მე IV რაიონის კოლექტივის ბინაზე დანიშნულია ქალთა ორგანიზაციის მორიგი სხდომა. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

— დღეს, საღ. 5 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. სომეხი სოციალ-დემოკრატთა კრება ბიუროს ბინაზე.

— დღეს საღამოს 7 ნახევარ საათზე ერობის შენობაში შესდგება ექიმთა პროფ. კავშირის თფილისის განყოფილების საზოგადო კრება.

**პროვინციის ქრონიკა.**

**სიღნაღი.** სიღნაღის მაზრის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა აწყობს მოკლევადიან კურსებს. კურსები გაიხსნება ამა წლის 20 ნოემბერს, გაგრძელდება 15 დეკემბრამდე. კურსებზე თვითეული კოოპერატივი გზავნის ორ მსმენელს, რომლებსაც უფასოდ ექნებათ ბინა და სამა სმა. მოწვეულია ორი ლექტორი საქართველოს კოოპერატივების ცენტრალურ კავშირისა. კურსებზე დასწრება შეუძლიანთ გარეშეებსაც, უკანასკნელებს მიეცემათ ბინ უფასოდ.

# ერობების ცხოვრება

**სიღნაღის მაზრის ერობა.**

სიღნაღის მაზრის ერობა შუამდგომლობს ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტის წინაშე, რათა მიეცეს მას ორი ვაგონი ცემენტი და სამი ცისტერნი ნავთი.

უკანასკნელი მიეცა ერობას სასურსათო საბჭოსაგან, ხოლო პირველზე აღიძრა შუამდგომლობა მთავრობასთან, მიეცეს მიწად მოქმედების სამინისტროდან.

**სენაკის მაზრის ერობა.**

მიმდინარე წ. 20 ნოემბერს, ქ. თფილისში დანიშნულია ქართული ხელოვნების და ხუროთ მოძღვრების ჟიური, სადაც უნდა გაირჩეს ქალაქ ახალსენაკში გასაშენებელი „სახალხო სახლის" გეგმა.

**სასურსათო საბჭო და ერობები.**

ერობებისაგან მოდის შუამდგომლობა როგორც მთავრობის, ისე ერობათა კავშირის სახელზე შესახებ სასურსათო საბჭოს ერობათა კავშირის ხელში გადაცემაზე. ასეთი შუამდგომლობანი მოდის ყოველ მხრიდან.

**გუმისტანის მაზრის ერობა.**

გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა ერობათა კავშირის წინაშე, რათა მას მიეცეს სატელეფონო ქონება მაზრის სატელეფონო ხლართულის დასაფარავათ.

მაზრაში არსებობს 4 საავათმყოფო, ერთი საექიმო პუნქტი, 6 საფერშლო პუნქტი. სამურზაყანოს მაზრა დაყოფილია 8 თემათ. თემებში გაერთიანებულია რამოდენიმე საზოგადოება.

ერობების გამგეობა შუამდგომლობს მიეცეს მას ტრანსპორტის მოსაგვარებლად მაზრის საზღვრებში ჯორები, ცხენები და საბარგო ავტომობილები.

**აგრონომიული ყრილობა.**

ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტი 12 დეკემბრისათვის იწვევს რესპუბლიკის ერობების საგრონომიო დარგში მომუშავეთა ყრილობას. ყრილობაზე მოწვეულ იქნებიან გადამწყვეტი ხმის უფლებით:

1) ყველა მაზრის აგრონომები.

2) ყველა რაიონის აგრონომები.

3) თითო მაზრიდან თითო სპეციალისტი ინსტრუქტორი ამხანაგების ამორჩევით. ყრილობის პროგრამა იქნება შემდეგი შინაარსის:

1) მოხსენება ადგილებიდან.

2) აგრონომიული დახმარების მოწყობა მაზრაში: ა) არსებული აგრონომიული დახმარება მაზრაში. ბ) მიწად-მოქმედების სამინისტროს და ერობათა ურთიერთობა ამ საკითხში.

3) აგრონომიული დახმარების მოწყობის ძირითადი პრინციპები. დ) საუბნო აგრონომიული დახმარ. მოწყობა. ე) სასოფლო - სამეურნეო ცოდნათა გავრცელება სკოლის გარეშე.

3) აგრონომიული ცენტრის შექმნა ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტთან

4) აგრონომიული პერსონალის პროფესიონალური საჭიროებანი ა) რა ფორმის იქნება აგრონომიული პერსონალის პროფესიონალური კავშირი. ბ) წესდების განხილვა.

5) სხვადასხვა კითხვები.

რაც შეეხება საკითხებს, როგორიცაა 1) საქართველოს სასოფლო სამეურნეო პირობების შესწავლა; 2) სასოფლო-სამეურნეო პირობების გაუმჯობესობა და სასოფლო სამეურნეო ეკონომიური პოლიტიკა; 3) აგრონომიული ორგანიზაციის საზოგადო საკითხები; 4) სასოფლო სამეურნეო საცდელი საქმე; 5) სასოფ. სამეურ. განათლება და სხ. ეს საკითხები გაირჩევა საქართველოს სასოფლო მეურნეობის და აგრონომიული დახმარების მოღვაწეთა ყრილობაზე, რომელსაც იწვევს მიწად-მოქმედების სამინისტრო 15 დეკემბერს. ამ დროისათვის საერობო აგრონომების ყრილობა დამთავრებული უნდა იქნეს.

**ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოსაგან**

ათს ამა ნოემბრიდან განახლდა ფოსტა ტელეგრაფის კორესპონდენციის გაცვლა გამოცვლა ბათუმის ოლქის ყველა ფოსტა ტელეგრაფის დაწესებულებასთან შემდეგი ნიხრის გადახდევინებით:

წერილები: ა. ღია—ცალი ათი შაური, ორმაგი (პასუხგადახდილი) ერთი მანეთი. ბ. დახურული 15 გრამზე 50 კაპ., ხოლო არა ნაკლებ ერთი მანეთისა თითო წერილზე. გ. დაზღვეული: წონის ფასი იგივეა, რაც უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი ერთი მანეთი თითო წერილზე. დ. ფასიანი—წონის ფასი იგივეა, რაც უბრალო დახურულ წერილებზე, დასაზღვევი კი გამოცხადებულ ფასის ორი პროცენტი, ხოლო არა ნაკლებ ერთი მანეთისა თითო წერილზე.

ამანათები: ორ გირვანქამდე ექვსი მანეთი, ხუთამდე—თუმანი. შვიდამდე 12 მანეთი, თორმეტამდე თექვსმეტი მანეთი და თორმეტს ზევით გირვანქაში ათი შაური.

ამანათები მხოლოდ საბაჟოს ნებართვით იქნებიან მიღებული.

ფულის ბარათები: ფოსტით გადაგზავნის ფასი თითეულ ას მანეთში, ან ასი მანეთის ნაწილში 2 მანეთი, ხოლო ტელეგრაფით გადაგზავნაში გარდა ზემოდასახელებული ფასისა გადახდება 500 მანეთამდე 30 მანეთი და 500—5000 მანეთამდე 37 მან. და 50 კაპ.—5000 მანეთზე მეტი ერთი ბლანკით არ მიიღება.

ფულის ბარათების გაცვლა გამოცვლა დაწესებულებებში ერთნაირი საქმის საწარმოო საბუთების დაგზავნამდე მოუხერხებელია. ეს დაბრკოლება აშორებული იქნება რამოდენიმე დღეში.

დეპეშები: ა. უბრალო—მანეთნახევარი, ბ. უბრალო გადაცემის შემოწმება—სამი მანეთი; სასწრაფო 4 მან. 50 კაპ. სასწრაფო გადაცემის შემოწმებით ექვსი მანეთი თითო სიტყვა.

გარდა ამისა სადეპეშო ფასი არ გადახდება.

სამმართველოს უფროსი მგელაძე.

# უცხოეთი

**იტალიის სოციალისტთა კონგრესი.**

იტალიის სოციალისტთა კონგრესზე, რომელიც შესდგა რომში, დეპუტატმა კანეპამ, როცა სამშვიდობო კონფერენციის შესახებ ლაპარაკობდა და ამტკიცებდა, რომ სამშვიდობო კონფერენციას არ დასწრებია უკრაინის წარმომადგენელიო, სხვათა შორის სთქვა, რომ სხვა და სხვა ნაციათა დამოუკიდებლობას, რომლებიც შედიოდენ ყოფილ რუსეთის იმპერიაში—ლატიშები, ესტონელები, ფინები, ქართველები, უკრაინელები—ეწინააღმდეგებიან არა მარტო რეაქციონერები, არამედ რუსეთის ბოლშევიკებიც. ეს ხდება უმთავრესად იმიტომ, რომ ამ ხალხს, განსაკუთრებით უკრაინას და საქართველოს, დაგროვილი აქვს დიდ ძალი ნედლი მასალა.

**იტალია და რუსეთი.**

გაზეთი „ჟურნალ დიტალია" რუსეთის საკითხს გრძელ წერილს უძღვნის. წერილი ასე თავდება: „რუსეთის ტერიტორიაზე დასახლებული სხვა და სხვა ხალხნი მოითხოვენ მათ კანონიერ უფლების ცნობას, ფართე თვითმართველობასა და დამოუკიდებლობას. მაგრამ კოლჩაკსა და დენიკინს, როგორც სჩანს, არ სურთ მათი უფლების ცნობა პრინციპიალურადაც კი. დადგა დრო, როცა სულ სხვა მხრივ უნდა იქნას ეს რთული დებულება განხილული და ძირშივე უნდა შეიცვალოს იტალიის და მოკავშირეთა პოლიტიკის მიზანი და საშუალება რუსეთის საკითხში. მაგრამ უმთავრესად შეცვლილ უნდა იქნას იტალიის პოლიტიკა, რომელიც თავისი გადაჭარბებულ სოლიდარობით და უცხო შეხედულებებით და შეცდომებით თავის განსაკუთრებულ ინტერესების გამო საკმაო ყურადღებას არ აქცევდა აღმოსავლეთ რუსეთის საქმეებს. აუცილებლათ გადასინჯულ უნდა იქნას პოლიტიკა და უნდა გამომუშავდეს ახალი გეგმა".

---

**ყალბია და დამღუპველი ის აზრი, თითქოს პოლიტიკური პარტიის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს ავაზაკთა და დეზერტირთა წინააღმდეგ ბრძოლა.**

---

**ყაჩაღ-კომუნისტთა კონტრ-რევოლიუც. გამოსვლა სუფსაში**

ხმები გამართლდა და ყაჩაღ-კომუნისტთა გამოსვლა ახლა უკვე ფაქტია. მათი ფაქტიური გამოსვლა მოხდა: ჩოხატაურში, ქ. ლანჩხუთში, სად. სუფსაში როგორც სჩანს მათი მიზანი იყო სხვა და სხვა მნიშვნელოვანი დაბა ქალაქების დაჭერა: ოზურგეთის, ნატანების, ფოთის, ლანჩხუთის სამტრედიის, ჩოხატაურის და სუფსის, სადაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ გამოეცხადებიათ საბჭოთა მთავრობათ თავიანთი თავი. სადგური სუფსაც ვერ ასცილდა მათ ავანტიურისტულ გამოსვლას, 9 ნოემ. დილის 4 ს. თავს დაეცენ 50-მდე შეიარაღებულნი. ასტეხეს სროლა, დაჰყარეს პროვოკაციული ხმები, რომ ნაკლები წინააღმდეგობა შეხვედროდა. სადგურის ყოველ ქუჩებში დაყიალობდენ და გაიძახოდენ ხმა მაღლა: „თფილისი ჩვენ ხელშია, ფოთი და ოზურგეთი ჩავიბარეთ და თქვენ რა გამოდექით ასეთი, რომ წინააღმდეგობას გვიწევთო". ბრბომ ჯერ სადგური აიღო, გადააყენეს სადგურის უფროსი და ზოგიერთი მოსამსახურენიც, დაიჭირეს ერობის და მოწინავე პირები, ჩამოართვეს იარაღი მილიციას და ბოლოს ფოსტა-ტელეგრაფიც ცოტა წინააღმდეგობის შემდეგ დაიკავეს. მაგრამ მათი ნეტარება, ბატონობა არ გაგრძელდა დიდხანს. დილის 4 საათ. და წყებული სროლა და არეულობა მხოლოდ ჯავშნიან მატარებლის ჩამოსვლამ დააწყნარა. დაინახეს რა ჯავშნიანი მატარებელი, ავანტიურისტ კომუნისტები თავის შველას შეუდგენ. მეთაურები გაიფანტენ, დაიჭირეს დანარჩენი; ამ დროს დიდძალი შეიარაღებული ხალხი ჩამოვიდა სოფლიდან ამ ვაჟბატონების პასუხის გასაცემათ, ყველა გზები გაჰკრეს; საღამომდის რამოდენიმე მეთაური თავგანი დაჭერილი მოიყვანეს. ამით გათავდა სუფსის ავანტიურისტ-კომუნისტების გამოსვლა და დამარცხება. ხალხს იმედი აქვს დემოკრატიის მიერ ნდობით აღჭურვილი მთავრობა ასეთ თავხედობასთან სასტიკ ზომებს მიიღებს და ხალხისვე დახმარებით ძირში ჩაჰკლავს დემოკრატიული რესპუბლიკის დასანგრევათ წარმოშობილ ანარქიას და ავანტიურას. ი. მეგრელიძე.

---

**ხალხის შეგნება და თვით მოქმედება მოსპობს ყაჩაღობას და ალმოფხვრის დეზერტირობას.**

---

# საზღვარ გარეთ ახალგაზრდების გაგზავნა

**სია გასაგზავნ ახალგაზრდებისა**

მიმდინარე წლის 1 ნოემბერს სახალხო განათლების მინისტრის ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა იმ საუწყებათაშორისო კომისიისა, რომელსაც დამფუძნებელ კრების მიერ 8 ივლისს მიღებულ დეკრეტის თანახმათ, დავალებული ჰქონდა შემუშავებინა წესი ორ მილიონიან თანხის განაწილებისა და შემდეგ გაეგზავნა კიდეც საზღვარ გარეთ სპეციალურ სწავლა განათლების მისაღებათ ან ცოდნის შესაძენად ქართველი ახალგაზრდები.

ამ სხდომაზე პირველ ყოვლისა გამოტანილ იქნა შემდეგი სავალდებულო ყველა სახელმწიფო სტიპენდიანტებისათვის დადგენილება: დაუბრკოლებლივი გამგზავრება საზღვარ-გარეთ სასწავლებლათ შეუძლიანთ მხოლოდ იმ პირთ,ვისაც სამხედრო ბეგარა უკვე მოხდილი აქვთ, ანდა ვინც წარმოადგენს სათანადო საბუთს სამხედრო ბეგარისგან განთავისუფლების შესახებ, ხოლო ის სტიპენდიანტები, რომელთაც სამხედრო ბეგარის მოხდა უწევთ და ვერ წარმოადგენენ მოწმობას განთავისუფლებისას და ირიცხებიან კანდიდატთა სიაში, გაიგზავნებიან საზღვარ გარეთ სამხედრო ბეგრის მოხდის შემდეგ.

საუწყებათაშორისო კომისიამ იქონია მსჯელობა აგრეთვე ამაზედაც: სავალდებულო იყოს თუ არა სახელმწიფო სტიპენდიანტისთვის შემდეგ სწავლის დასრულებისა რომელსამე სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახური და, თუ სავალდებულო იქნება, რა დროით (ვადით) უნდა განისაზღვროს ეს სავალდებულო სამსახური. აზრთა მცირე გაზიარების შემდეგ, კომისიამ ერთხმად დაადგინა: სახელმწიფო სტიპენდიანტი მოვალეა სახელმწიფოს მოთხოვნილებისამებრ იმსახუროს თვითოეულ სასტიპენდიო წელიწადისთვის ორი წელიწადი იქ, სადაც სათანადო უწყება საჭიროდ დაინახავს სამსახურს.

დასასრულ საუწყებათაშორისო კომისიამ განიხილა მცირე კომისიისაგან შემუშავებული სია ღირსეულ კანდიდატებისა და ამ სიის მიხედვით დაამტკიცა და სტიპენდია მიუსაჯა შემდეგ პირებს:

**მიწათ მოქმედების სამინისტროს კანდიდატები:**

1. ჯანაშია ნიკოლოზ (უკვე საზღვარ გარეთაა).
2. ციცქიშვილი ვასილ მიხეილის ძე.
3. ცქიტიშვილი შალვა იაკინთეს ძე.
4. იოსელიანი ნიკოლოზ პავლეს ძე.
5. მაყაშვილი დავით გიორგის ძე.
6. ლეონიძე ლეონ ნიკოლოზის ძე (ბეითალი).
7. ნიჟარაძე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე.
8. გაბილაია ნესტორ სპირიდონის ძე.
9. კვარაცხელია პავლე დიმიტრის ძე.
10. ანდრონიკაშვილი ბექა.
11. ბაირამაშვილი არჩილ აბელის ძე (ინჟილო).
12. რამიშვილი იაკობ ისიდორის ძე.
13. კანდელაკი არქიპო ლავრენტის ძე.
14. ლეჟავა გიორგი დავითის ძე.
15. ცისკარიშვილი ვასილ დიმიტრის ძე.
16. გიორგიძე ამბერტ.

**გზათა დეპარტამენტის კანდიდატები:**

1. ყიფიანი როსტომ პავლეს ძე (უკვე საზღვარ გარეთაა).
2. ლეჟავა ნიკოლოზ.
3. პირმაქსეზოვი ალექსანდრე მიხეილის ძე.
4. მაჭავარიანი მიხეილ ივანეს ძე.
5. ზილმანი პავლე ვოლდემარის ძე.
6. ზერეკიძე ილია პავლეს ძე.
7. მაყაშვილი ალექსანდრე.
8. მასხულია ტარასი მაქსიმეს ძე.

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანდიდატები:**

1. მაღლაკელიძე მიხეილ ლეონის ძე.
2. ნაზარიშვილი ალექსანდრე დავითის ძე.
3. მესხი ნიკოლოზ სერგის ძე.
4. ჩხენკელი ივანე.
5. კობახიძე კონსტანტინე ივანეს ძე.
6. მგელაძე გიორგი კირილეს ძე.
7. მექანარიშვილი არჩილ იოსების ძე.
8. მიხელიძე სოფრონ ანტონის ძე.
9. თალაკვაძე ერმოკრატ იესეს ძე.
10. წულეისკირი მირონ ისიდორეს ძე.
11. მესხი გიორგი კონსტანტინეს ძე.
12. ჩიტაძე ვასილ შიოს ძე.
13. ნიკურაძე ივანე ილიას ძე.
14. ხუნდაძე მიხეილ სვიმონის ძე. (უკვე საზღვარ გარეთაა).
15. რამიშვილი ბიძინა ირაკლის ძე. (უკვე საზღვარ გარეთაა).

**სამხედრო სამინისტროს კანდიდატი:**

1. ქართველიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კანდიდატები:**

1. ნანეიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე.
2. ჩხენკელი პეტრე (კიტა) ივანეს ძე.
3. იმნაიშვილი მოსე ბესარიონის ძე.
4. ნოზაძე ვიქტორ.
5. იაშვილი პავლე.
6. კალანდარიშვილი ირაკლი კონსტანტინეს ძე.
7. ახმეტელაშვილი მიხეილ კონსტანტინეს ძე (ნახევარ სტიპენდ.).

**შრომის სამინისტროს კანდიდატი:**

1. ნარსია იპოლიტე.

**განათლების სამინისტ. კანდიდატები:**

1. ჯანელიძე ალექსანდრე.
2. გელაზანია ბარნაბ.

ამ სიის მიხედვით საუწყებათაშორისო კომისიამ სტიპენდია დაუნიშნა 50 კაცს, რომელთა შორის 4 ამ ჟამად უკვე საზღვარ გარეთ იმყოფება.

საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილების თანახმათ, სახალხო განათლების სამინისტრო წინადადებას აძლევს თითოეულ სიაში მოხსენებულ სტიპენდიანტს გამოცხადდეს სათანადო უწყებაში, სადაც ის მიიღებს ინსტრუქციას და საჭირო ცნობებს, ხოლო განათლების სამინისტროში ევალება წარადგინოს მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, ურომლისოთ მისი გაგზავნა საზღვარ გარეთ შეუძლებელი იქნება.

---

**ყველა და ყველაფერი უნდა ამოძრავდეს ავაზაკთა, დეზერტირთა და ყაჩაღთა წინააღმდეგ.**

---

# მდგომარეობა ოდესაში

ამ დღეებში ოდესიდან ჩამოსულმა პირმა გადმოგვცა იქაური მდგომარეობის შესახებ შემდეგი: დენიკინელებს ძალა-უფლება მხოლოდ ქალაქში აქვთ. სოფელი და პროვინცია საერთოდ მათ არ ემორჩილება. დენიკინელებმა თვითეულ გლეხის სულს შეაწერეს ორას-ორასი მანეთი და ხუთ-ხუთი ფუთი პური, მაგრამ გლეხები არაფერს არ აძლევენ არც მათ და არც ქალაქს. ამის გამო პურის ფასი ოდესაში, რომელიც მოხალისეების მოსვლის პირველ დღეებში დავიდა ხუთ მანეთამდე, ეხლა ოც მანეთს ასცილდა. მახნომ, რომელიც ერთ დროს არა სჩანდა, ისევ წამოყო თავი. შეაგროვა ჯარი და ადვილათ იკავებს ქალაქებს და სოფლებს, რადგანაც გლეხები მას ემხრობა. არც პეტლიურაა გაჩერებული. მისი ჯარი ბირზულამდეა მოსული და უცდის შესაფერ დროს, რომ ოდესისკენ გამოილაშქროს. პურის და საერთოთ სურსათის სიძვირეა თურმე სხვა ქალაქებშიაც, რადგანაც დონი და ყუბანი იქ არ უშვებს თავის საზღვრებიდან პურს. ეს მათი მხრით პასუხია დენიკინის მიერ გამოცხადებულ ბლოკადაზე დონის და ყუბანის მიმართ. ოდესაში და ნოვოროსიისკში ბევრი ქართველებია ჩამოსული სამშობლოში წამოსვლელად, მაგრამ მოხალისეები წამოსვლის ნებართვას არ აძლევენ, რადგანაც მათი სიტყვით, ომია მოხალისეებსა და საქართველოს შორის. ინგლისის კონსული ოდესაში არ ყოფილა. მის მაგიერობას ასრულებს კრეისერი „გარადოკის" კაპიტანი ბ ნიკერი. ქართველებს მიუმართავს მისთვის დახმარების აღმოსაჩენათ, მაგრამ მას უპასუხნია, რომ ეს რუსების შინაური საქმეა, ამისათვის იგი ამაში ვერ ჩაერევაო. საერთოდ ძრიელ უძნელდებათ ქართველებს მოხალისეების მიერ დაკავებულ ტერიტორიიდან გამოსვლა. ვინც კი ბოლშევიკებთან მსახურობდა ან ყაჩაღობდა და ქონება შეიძინეს, ისინი ფულით ყველაფერს ახერხებენ და ასობით მოემგზავრებიან საქართველოში. საერთოდ ჩვენი კონსულის წამოსვლის მერმე იქაური ქართველობა სასტიკ პირობებში ჩაცვივდნენ და ვერას გზით ვერ დაუღწევიათ თავი იქაური ჯოჯოხეთისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ სამშობლოში წამოსვლის სურვილი მათ დიდი აქვთ, და ეს მაშინ, როდესაც ათასნაირი სპეკულიანტი, დენიკინელი, კომუნისტი და სხვა ძმანი მათნი ათასობით მოდიან ჩვენში და თავისუფლათ დაპარპაშობენ აქ, მხოლოდ იმისათვის, რომ დაანგრიონ ჩვენი რესპუბლიკა და დაუქვემდებარონ რეაქციონურ ან კომუნისტურ რუსეთს. საჭიროა მთავრობამ მიაქციოს ამას ყურადღება და მიიღოს ზომები, რომ რუსეთში მყოფ ქართველებს მიეცეს საშუალება სამშობლოში ჩამოსვლისა. —ძე.

---

**დეზერტირობა ყაჩაღობას და ავაზაკობას აძლიერებს. დეზერტირები ე...რი ...ნთა რეზერვია.**

---

# ქალაქის საბჭო

**10 ნოემბრის სხდომა**

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

დღის წესრიგში შეტანილ იქნა 2 საკითხი: ქალაქის მოურავის მოხსენება ახალგაზრდათა ჯარში გასაგზავნ კომისიაში წარმომადგენლის არჩევისა და ქალაქის მოურავის მოხსენება სასურსათო და საბინაო საკითხის შესახებ. პირველი საკითხის შესახებ ქალაქის მოურავი აცნობს სხდომას, რომ თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონისა, ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა მიმღებ კომისიაში უნდა შევიდენ ქალაქის მოურავი ან მისი ამხანაგი და 1 საბჭოს მიერ არჩეული ხმოსანი. მოურავი წინადადებას აძლევს საბჭოს არჩეულ იქნას 1 ხმოსანი კომისიაში გასაგზავნ. თ. კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ საბჭომ აირჩია ხმოს. მესხი.

სასურსათო და საბინაო საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ბ. ჩხიკვიშვილი. მომხსენებელი აღნიშნავს იმ მწვავე მდგომარეობას, რომელიც შექმნილია ქალაქში სურსათისა და ბინის უქონლობის გამო. უსაქმო ელემენტების რიცხვი 100,000 მდე აწევს ჩვენს ქალაქში და სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ, თუნდაც ნაჩვენები რიცხვი გავანახევროთ და სულზე ნახევარი გირვანქა პური მივცეთ, მათზე მაინც იხარჯება დღეში 500 ფუთი პური.

მწვავეთ სდგას საკითხი სათბობ მასალის შესახებაც. კიდევ უარეს ცუდ მდგომარეობაშია ბინის საკითხი. ხალხი ძლიერ ბევრია და ვერ ეტევა.

ის მოითხოვს, რომ უფრო რადიკალურ გზას მიმართონ: ისეთი ელემენტები, რომლებიც არავითარ შრომას არ ეწევიან და კავშირი არ აქვთ რესპუბლიკასთან, გადასახლებულ იქნან თფილისიდან.

მომხსენებელი იძლევა სტატისტიკურ ცნობას, რომ ივლისის განმავლობაში თფილისში შემოსულა 8272 სული უცხო ელემენტი. იმავე თვეში გასულა 14000 კაცი, მაგრამ აქ შედის ისეთებიც, რომლებიც ერთი ბინიდან მეორეში გადასულან. შემდეგ ქალაქის თავი ეხება იმ ტეხნიკურ მხარეს, თუ როგორ უნდა მოხდეს უცხო ელემენტების გადასახლება და მოითხოვს, რომ ყველა მოსამსახურეებმა და ხმოსნებმაც ხელი შეუწყონ ამ საქმის განხორციელებას.

ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა გამგეობას მიეცეს უფლება გაიღოს არა უმეტეს 20—25 ათასი მანეთისა.

უნდა გავიდენ თფილისიდან აგრეთვე ის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც სოფლებიდან ჩამოსულან და აქ ცხოვრობენ უსაქმოთ...

ამისათვის ხარჯთ აღრიცხვას შემდეგისათვის წარმოუდგენთ სხდომას.

ხმ. გოთუა აღნიშნავს იმ მავნებლობას, რომელიც მოაქვს უცხო ელემენტების ასეთ დიდი რიცხვის დაგროვებას და ეთანხმება რა მომხსენებელს, მოითხოვს მტკიცეთ იქნას დაცული მოხსენების თეზისები.

მზარეულოვი იწონებს მოხსენებაში აღნიშნულ ზომებს.

ხმ. ვაჩნაძე მოითხოვს, რომ გაწმენდილ იქმნას მთავრობის დაწესებულებები და ჯარიც უცხო ელემენტებისაგან.

ხმ. ნ. ელიავა აღნიშნავს, რომ ეს ძლიერ სათუთი საკითხია და ჩვენ ძლიერ ფრთხილად უნდა მოვეპყრათ მასო. ჩვენ ვერ შევურიგდებით იმ აზრს, რომ რესპუბლიკიდან განდევნილ იქმნან ისეთი მუშები, რომლებიც რამოდენიმე წელი აქ მუშაობდენ და დღეს შემთხვევით უსაქმოთ არიან. ჩვენ ამ საკითხს იმდენათ ვეხებით, რამდენადაც ეს ეხება ბინის, სურსათის და სხვა ეკონომიურ საკითხებს.

ქალაქის მოურავი იმედს გამოსთქვამს, რომ ეს ზომები გატარებულ იქნება ცხოვრებაში. რაც შეეხება ხარჯების სიცოტავის გამო განცვიფრებას, მომხსენებლის სიტყვით, ამისათვის დიდი აპარატის შექმნა არ არის საჭირო და აღნიშნული თანხა საკმაოა.

კრებამ მიიღო სოც. დემ. ფრაქციის რეზოლიუცია: მოისმინა რა გამგეობის მოხსენება, ქალაქის საბჭოს სხდომა, საჭიროთ სთვლის მოხსენებაში აღნიშნულ ზომების მიღებას და ანდობს ქალაქის თავს შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ ხსენებული ზომები გატარებულ იქნას ცხოვრებაში. გადებულ იქნას 25000 მანეთი და ეს დადგენილება დღეიდან შევიდეს ძალაში.

გამგ. წევრის პაჩიევის მოხსენებით საბჭომ დაადგინა ნება მიეცეს გამგეობას გადასდოს 4 მილიონი მანეთი სასურსათო ფონდში მონაწილეობის მისაღებათ და ეს თანხა გადახდილ იქნას ოთხ ნაწილათ.

ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ჯამაგირების მე-9 მომატების შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის თავის ამხანაგი გ. კონიევი. ის აღნიშნავს, რომ პირველ ივნისიდან ცხოვრება 40 პროცენტით გაძვირდა. ამის მიხედვით სატარიფო პალატამ მოუმატა 40 პროცენტი და ჩვენც უნდა მოუმატოთ. ამით ხარჯები დიდი იქნება, ყოველ თვეში 4,944,234 მანეთი იქნება საჭირო. წყაროთ უნდა მივიჩნიოთ ტრამვაის ბილეთებით ტარიფის გადიდება. შემდეგ უნდა მივმართოთ მთავრობას, რომ მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ მილიციის შენახვაში და ბოლოს სესხი.

ხმ. ველიხიანი არა სასურველად სცნობს ტრამვაის ტარიფის გადიდებას და თუ ეს აუცილებელი იქნება, უნდა გადიდდეს არა უმეტეს 2 და 3 მანეთისა. იგი მოითხოვს, გაფართოვებულ იქნას სასურსათო განყოფილება და შემოღებულ იქნას ზოგიერთ ადვილად შესასრულებელ დარგის საქონლის განსაზოგადოებრივება.

გ. კონიევი განმარტავს, რომ ქალაქის სასურსათო განყოფილება უკვე გაფართოვებულია, მაგრამ ეს საქმეს არ უშველის, რაც შეეხება მუნიციპალიზაციას, ის დიდ თანხას და რთულ ორგანიზაციას მოითხოვს და ამის განხორციელება ეხლა ვერ მოხერხდება.

საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება: მიემატოს ქალაქის თვითმართველობის მუშებს 40 პროცენტი პირველი ნოემბრიდან და გადიდდეს ტრამვაის ბილეთები: მანეთ ნახევრიანი ორ მანეთამდე და ორი მანეთიანი სამ მანეთამდე.

ხმ. დადიანს წინადადება შეაქვს იაფფასიანი ბილეთები დაურიგდეს მუშებს, მოწაფეებს და სტუდენტებს.

გ. კონიევის წინადადებით ეს საკითხი გადაეცა საფინანსო საბიუჯეტო კომისიას, რომელმაც დაჩქარებით უნდა შეიმუშაოს ეს საკითხი და წარმოუდგინოს საბჭოს განსახილველად.

დასასრულ სხდომაზე განხილულ იქნა მრავალი საჩივრები სასანიტარო გადასახადის შესახებ.

**ულმობელი და შეუბრალებელი ბრძოლა ყაჩაღთა წინააღმდეგ. სასტიკი ომი დეზერტირობას!**

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 6 ნოემბერს შესდგა რკ. გზ. ქვე-კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. რაიონიდან მოხსენება გააკეთა ამხ. მეტრეველმა. აგრეთვე კრებამ გაარჩია სხვადასხვა საყურადღებო კითხვები; სხვათა შორის იქონია მსჯელობა უკანასკნელ ხანებში ანარქო-კომუნისტ ყაჩაღთა გამოსვლების შესახებ და გამოიტანეს შემდეგი რეზოლუცია: „უკველა ის გამოსვლები, რომლებიც ამ ახლო წარსულში მოხდა ჩვენ რესპუბლიკის საზღვრებში, და რომელსაც ხელმძღვანელობენ ბოლშევიკები, რაც უკვე დამტკიცებულათ მიგვაჩნია, არის დიდი ღალატი ხალხის წინაშე, ამისთვის, ყოველივე იმ ზომებს, რომელიც იქნა მიღებული მთავრობის მიერ, მათ წინააღმდეგ, ჩვენ ვცნობთ მიზან შეწონილად. ამას გარდა ჩვენ მოუწოდებთ ყველა ამხანაგებს ენერგიული დახმარება აღმოუჩინონ მთავრობას ასეთი უპასუხისმგებლო პირების წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა ამ რიგად ვიხსნათ ჩვენი ქვეყნის დემოკრატია ანარქიის ქარ ცეცხლისაგან“.

მდივანი პ. თ.

თფილისი. 9 ნოემბერს, შესდგა კრება ს. ს. დ. მ. პ. მე 7-დე რაიონულ კოლექტივისა. თავმჯდომარეობდა აქვ. რაზმაძე. თფილისის კომიტეტისაგან მოხსენებას აკეთებს თფილისის კომიტეტის წევრი ევ. ლორია, რის შემდეგაც კოლექტივმა იქონია მსჯელობა ზოგიერთ კომიტეტში გარჩეულ კითხვებზე და თავისი აზრი გამოსთქვა. მსჯელობის შემდეგ ბოლშევიკურ გამოსვლების შესახებ საერთოდ კრებამ დაადგინა დაუყოვნებლივ იქნას დატუსაღებული და პასუხის გებაში მიცემული ყველა არა სასურველი პირები, რომლებიც იქნებიან შემჩნეული საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ პროვოკაციის გავრცელებაში. კერძოთ ამხ. გოგინაშვილის განცხადების შესახებ სასკლაოს კავშირის ფრაქციის დავალებით ალექსანდრე ულიხანოვის პარტიიდან გაძევების და განჩაროვის პარტიაში მიუღებლობის შესახებ კოლექტივმა დაადგინა: იქნას გამორიცხული პარტიიდან ულიხანოვი, როგორც ჩირქის მომცხები პარტიის მე 17 ტი მუხლის ძალით და განჩაროვი კი არ იქნას მიღებული პარტიაში, ვინაიდან ის წარმოადგენს არა სასურველ პიროვნებას პარტიისათვის.

კოლექტივის ბინის გამოცვლის შესახებ დაევალოს პრეზიდიუმს გამოარკვიოს ახლო მომავალში. მოისმინა რა მოხსენება კრებამ სასანიტარო კომისიის თავმჯდომარის ნ. იმნაიშვილის მე VI უბნის მცხოვრებლების მოწვევის შესახებ, დაადგინა: ეცნობოს ხსენებულ უბნის კომისარს, რათა მოახდინოს კრება მცხოვრებლების პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე, რომელზედაც მოწვეული იქნება ლექტორი მოხსენების წასაკითხავათ მომენტზე. მდივანი.

სანაინი. 30 ოქტომბერს, შესდგა სანაინის ს. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) დამატებითი დირექტივების გაგზავნა რკინის გზის მეორე ყრილობაზე წასულ ამხ. ცირეკიძისთვის, 2) მიმდინარე მომენტი, 3) რეორგანიზაცია მცირე-კოლექტივასა. პირველი საკითხი გადაეცა კომისიას-დირექტივების შესამუშავებლათ, მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა მცირე-კოლექტივის თავჯდომარემ ამხ. კ. გრიგოლიამ, რომელმაც კრებას მოკლეთ გააცნო ჩვენი მდგომარეობა და მოუწოდა პარტიულ ამხანაგებს ენერგიულ მუშაობისაკენ. მიმდინარე მომენტზე ილაპარაკეს სხვა ამხანაგებმაც, სუყველა იმას აღნიშნავდა, რომ ვიმყოფებით კრიტიკულ მდგომარეობაში, და არის საჭირო მეტი ენერგიული მუშაობა და მასის პარტიისაკენ მიმხრობა. მესამე საკითხი გადაიდო შემდეგი კრებისათვის.

მეფარიშვილი.

**მკითხველო, სინიდისს ქვეშ სთქვი, იცი თუ არა რომელიმე ავაზაკის ან დეზერტირის სახლი და ბინა. სირცხვილი შენ, თუ ამდენხანს არ მიგიცია ის სამართლის ხელში. ეხლა მაინც დაუყონებლივ ამხილე.**

## მუშათა შორის

თფილისი. გვინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ ე. თარგამაძის წერილის საპასუხოდ. სრულიად გაუგებარია ჩვენი ამხანაგებისათვის, თუ რად დასჭირდა ე. თარგამაძეს საჯაროდ, გაზეთის ფურცლებზე წერა იმის შესახებ, რის წარმოდგენა და გაგებაც მას სრულიად არა ჰქონია.

ამხ. ე. თარგამაძეს, რომ არ დაეწერა მნიშვნელობა „პროლეტკულტისა“, თფილისის ბევრმა მუშებმა და თვით პროფ. კავშირთა კავშირმაც კარგად იცოდა, რომ „პროლეტკულტი“ თავის დანიშნულებით თეატრალურ ცხოვრებაში, ისახავდა მიზნათ, შეეტანა მუშებში გათვითცნობიერება და მიეწოდებინა მათთვის სულიერ გონებრივი საზრდო. გამგეობა მუშაობდა დიდის ენერგიით და მიუხედავად ამისა მას წილად ხვდა რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ დაახლოვებით 20,000 მან. დეფიციტი.

თუ რომ ამხ. ე. თარგამაძეს ჰქონდა სურვილი გასცნობოდა ყველა საქმეებს და კერძოდ ანგარიშებსაც, როგორც „პრეზიდიუმის“ ერთს წევრთაგანს, მას უნდა მიემართნა „პროლეტკულტის“ მთელ გამგეობისათვის და არა პრესის საშუალებით გამოსდავებოდა კერძოთ ხსენებულ „პროლეტკულტის“ გამგეობის ორ წევრს: სახელდობრ—მ. არუთინოვს და იაგუნოვს, თორემ რა შუაში არიან ესენი?

ამხ. თარგამაძე დასძენს, რომ რას ნიშნავს გამგეობის უმოქმედობა და სარევიზიო კომისიის სიჩუმეო. ამაზე უნდა მოვახსენოთ ამხ. გ. თარგამაძეს, რომ გამგეობის უმოქმედობა გამოიწვია იმ მიზეზებმა, რომ თქვენისთანა ამხანაგებმა და პირველი კი თქვენ, გაეთიშეთ ხსენებულ გამგეობას და მიუხედავათ ამისა, გამგეობის დანარჩენმა წევრებმა შესძლეს და მოიწვიეს სარევიზიო კომისია, რომელმაც მოახდინა რევიზია და ყველაფერი თავის რიგზე აღმოაჩინა.

რაც შეეხება პროლეტკულტის მოქმედების შეჩერებას მუშათა კლუბში, ეს მოხდა სურვილისამებრ მეტყავეთა პროფ კავ., რომლის მატერიალური დახმარებითაც სულდგმულობდა პროლეტკულტის ორი სექცია—ქართული და სომხური, შეჩერება მოხდა რა თქმა უნდა უსახსრობის გამო. ამავე კავშირის გამგეობამ დანიშნა საგამომძიებლო კომისია, რომელმაც ჩაიბარა პროლეტ. გამგეობისაგან მთელი ინვენტარი და საბუთები, რომელიც ინახება მის განკარგულებაში და რომელიც მოელოდინეა წარუდგინოს მთელი ანგარიშები პროლეტ. მოქმედების შესახებ მეტყავეთა საზოგადო კრებას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამგეობას აკვირვებს ერთი დიდი გაუგებრობა, რომელიც დაშვებულია თარგამაძის წერილში. იგი ეკითხება ამხ. მ. არუთინოვს და იაგუნოვს, რომ—რა იქნა 7 ოქტომბერს პროლეტ. ფონდის გასაძლიერებლად გამართულ ინტერნაციონალურ საღამოს შემოსავალი და ვისთან ინახება ფულებიო?— ვიმეორებთ, რომ გვაკვირვებს ჩვენ ასეთი უალაგო შეკითხვა თარგამაძისა— იგი თვითონ ბრძანდებოდა პასუხისმგებელი გამგე ამ საღამოსი და ნუ თუ მეხსიერებამ ისე უღალატა, რომ ეს მას დაავიწყდა და თავისი თავი სხვებით მოირჩენა?

დასასრულ მთელი გამგეობა და სარევიზიო კომისია კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ რადგანაც ამხ. თარგამაძემ თავისი სურვილით მიატოვა გამგეობა და მისი წერილიც სრულ გაუგებრობაზეა აგებული, ამიტომ ჩვენ მის წინაშე არავითარ პასუხს არ ვაგებთ.

პროლეტ. გამგეობის წევრნი: ბაიანდუროვი, არუთინიანი, იაგუნოვი და ოგანეზოვი; სარევ. კომ. წევრნი—დ. მელაშვილი, ზ. ავთანდილოვი.

**დეზერტირი მოღალატეა, დეზერტირის და ყაჩაღის შემნახველი იუდის თანაზიარია.**

## პროვინცია

ზვარე (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობით მთაგორიანია. ნიადაგი მწირი და მოუსავლიანი. აქ სარჩო მოსავლიან წლებში ნახევარი წლის თუ მოუვა მცხოვრებთ, წელს კი ორი-სამი თვეც არ გაატანთ. კულტურულათ ეს სოფელი ჩამორჩენილია; დღემდის მას არ გააჩნდა სკოლა. თუმცა აქ 1912 წლამდის არსებობდა ერთკლასიანი სამრევლო სასწავლებელი, მაგრამ ხალხმა შენობა არ ააგო და დახურულ იქმნა. დღეს ხალხმა შეიგნო, მიხვდა სწავლის მნიშვნელობას, შეიძინა სახლი და დაიარსა პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ზემო აღნიშნული ადგილი მდებარეობს შუა სოფელში: შიგ დგას სამი ძირი ნიგვზის ხე. იგი წინეთ გაშვებული იყო, ხოლო 1917 წ. ვინმე კიკნაძემ დაიდვა საყანეთ. ეს ადგილი ხალხს უნდოდა სასკოლე ეზოთ; სასურველი და მიზანშეწონილიც არის, ვინაიდან ის შემოსავლიანია ნიგვზებით და შეუძლია ახლად დაარსებული ღარიბი სკოლის მოწყობა. და აი შარშან კიდევაც ამ მიზნით მიმართა სოფელმა ა. დიდებულიძეს და სთხოვა დაეთმო ზემოხსენებული ადგილი სასკოლეთ, რაზედაც ის დათანხმდა და სამაგიეროდ ადგილი ნორმაში სხვაგან აიღო. მაგრამ ყველაფერი ეს ჰაერში გამოკიდებული დარჩა. საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

გულშემატკივარი.

ბორჯომი. 2 ნოემბერს სოფელ კორტანეთში შესდგა შვიდი სოფლის შეერთებული კრება 1) სოფელ კორტანეთი 2) ს. ზანავი, 3) ს. რველი, 4) ქვედა-ბეშეთი, 5) ზედა-ბეშეთი, 6) ვარდგინეთი და 7) ს. ბანის-ხევი. კრების თავმჯდომარეთ ამოირჩიეს ვ. რაზმაძე და მდივნათ ი. სალარიძე. კრებაზედ გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) რას ნიშნავს დღევანდელი გამოსვლები ან და ვინ აწყობს მას, 2) რუსეთის მდგომარეობა, 3) მომავალში ახალი სკოლის დაარსება, 4) ბორნის შესახებ, 5) ტყიდან სარგებლობის შესახებ. 1, 2 და 3 კითხვებზე ვრცელი მოხსენებას აკეთებს ბორჯომის ერობის გამგეობის თავმჯდომარე კ. შანშაზაროვი, ხალხი დიდი კმაყოფილი დარჩა ამ ახსნა განმარტებებით და გადავიდენ შემდეგ კითხვებზე. ბორნის შესახებ, რადგანაც აქნობამდინ კერძო პირებს ქონდათ და ამუშავებდენ და დღეს კი აღარ თაობენ, ამისათვის კრებამ დაადგინა ამოირჩეს სამი კაცისაგან შემდგარი კომისია 1) სოფ. ზანავიდან გ. კიკაძე, 2) ს. კორტანეთიდან ქ. ლონდაძე და 3) ს. ქ. ბეშეთიდან ქ. ლომიძე, რომელთაც დაევალათ გამოიანგარიშონ რა დაჯდება ახალი ბორნის გაკეთება და ის ჯამი გააწერონ სოფლებს და გააკეთონ ამ ზემო მოხსენებულ სოფლების სახელზე. ტყის შესახებ, აქამდის ს. ზანავის და ს. რველის მცხოვრებლები ადმინისტრატიულათ ბორჯომის რაიონში შედიოდენ, მამული და ტყე კი კერძო პირებს ეკუთნოდა: თაქთაქიშვილებს, ნემსაძეებს და ამილახვრებს და ამ სოფლის გლეხობას ამ კერძო პირების ტყიდან გამოჰქონდათ ტივის ხეები და შეშაც და იმით სარგებლობდენ, დღეს კი ეს სოფლები ადმინისტრატიულად ისევ ბორჯომს ეკუთვნის და ტყეც ბორჯომის სახელმწიფო მამულში შედის, მაგრამ აქაური გლეხობა იმ ტყით ვეღარ სარგებლობს, როგორც უმამულო ხალხი, აღარც ტივის ხეს და აღარც შეშას გვაძლევენო, რომ ვისარგებლოთ ამ ტყიდანო. ამისათვის დაადგინეს ეთხოვოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოახდინოს განკარგულება ბორჯომის სახელმწიფო მამულის მმართველზე, რათა ნება დაგვრთონ ჩვენ, რომ გამოვიტანოთ ტყიდან ტივის ხე და შეშა და ვისარგებლოთ, როგორც გამოაქვთ დანარჩენ ბორჯომის რაიონის სოფლის მუშებს ტივის ხე და შეშა და სარგებლობენო.

რადგანაც სოფ. ზანავში უკვე სკოლა დაარსდა, ეს ერთგვარი ცენტრია ს. ზანავისთვის, ს. რველისთვის და ბანის ხევისთვის, ამისათვის დაადგინეს, მომავალ წელში გაიხსნას ახალი სკოლა ს. ქვედა ბეშეთში, რომელიც ცენტრიც იქნება ს. კორტანეთის, ს. ზედა ბეშეთის და ვარდგინეთის.

ქ. დინჯაძე.

საგარეჯო. საგარეჯოს თემის მილიციის უფროსმა რ. ძიძგურმა დაატუსაღა სოფელ მანავის კომისარი და მისი მწერალი, რომელთაც ქრთამებში ეღოთ ღორები და პური. ერთი კვირის შემდეგ დაატუსაღა საგარეჯოს საზოგადოების მწერალი მიხ. გურგენიძე, რომელსაც ტუსაღებისათვის გამოერთო 1500 მან. და 7 ფუთი ხორბალი, რომელიც, ქრთამის აღების შემდეგ, ღამე მისულიყო, მორიგე მილიციონერისათვის წაერთმია გასაღები და ტუსაღებისათვის გაეღო კარები. ამ დროს გაეგოთ მუდმივ გვარდიელებს ფირუზ ესაიაშვილს და სოლომონ ქაიხოსროშვილს დაერტყათ ჯაჭვი და ტუსაღები და მათი შუამავალნი მწერლით ხელმეორეთ შეეპყრნათ. ხსენებული მწერალი გურგენიძე ამავე საზოგადოებიდან რამდენჯერმე არის დათხოვნილი მექრთამეობის გამო და მაინც კიდევ იქმნა მიღებული, ვითომ მოიშლიდა, მაგრამ ამაოთ. ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. 4 ამ თვეს ადგილობრივმა გვარდიელებმა და ადმინისტრაციამ ეჭვით დაატუსაღეს ვიღაც გოგიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა მანდატი, რომელიც ბოლშევიკების მიერ ყოფილიყო გამოგზავნილი აგიტაციის გასაწევათ. მისივე განცხადებით თურმე ეს მეორეთ მოსულა აქ.

ამ მოკლე ხანში სოფელ პატარძეულის რამდენიმე მცხოვრებნი წასულან ყარაიაზე და მილიციონერების სახელით თათრებისათვის დაუტაცნიათ აუარებელი ცხვარი, რომელიც კარგათ იცის ივრის მილიციის უფროსმა და თემმა, მაგრამ სდუმან და ცხვრის დამტაცებნი კი საქონელს ჰხოცავენ. ნუ თუ არ იციან რა მოაქვს ამისთანა ტაციაობას? საჭირო არის დროზე ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს.

ვ. მოყერი.

ს. წყავა. მიუხედავათ იმისა, რომ ამ სოფელში ადგილის სივიწროვეა და სარჩო ორი სამი თვის თუ მოუვა გლეხს, ის მაინც უკმაყოფილო არ არის და უწევს ანგარიშს არსებულ მდგომარეობას. აქ არსებობს მცირე კოლექტივი და აღსანიშნავია მათი შეკავშირება და სწორი გზით სიარული და ამიტომ ყოველივე გაუგებრობას და ხალხის მტრების მიერ გავრცელებულ პროვოკაციას ადგილი არა აქვს. არსებობს ორ კომპ. სასწავლებელი, კოოპერატივი. მალე სამკითხველოც მზათ იქნება. ამ სოფელმა იცის დღეობა 28 ივლისს, „კვირიკობა“ და მართლაც ბევრი საზოგადოება იყრის ერთად თავს, და ამიტომ ვისარგებლეთ დროთი და გავმართეთ წარმოდგენა, რითაც დიდი დახმარება გაგვიწიეს ადგილობრივმა მოწაფეებმა, უსასყიდლოთ იმუშავეს. ყულაბებით ფულის მოგროვებაში ქალიშვილებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. აგრეთვე ბუფეტმა. წმინდა შემოსავალი დარჩა 1003 მან. 25 კაპ. ივლისის რიცხვებში საერთო კრების დროს გადადვეს ამავე სამკითხველოს შენობის ასაგებ ფონდისათვის ეკლესიის თანხიდან 600 მან., კოოპერატივმა 265 მან. თანახმად ამ ფულების მოგროვების მიზნისა შენობა უკვე აშენებულია ქვიტკირის. ვფიქრობთ, მალე მთათ იქნება ყველაფრით. უსურვებ იმ პირებს, რომლებმაც ესეთი დახმარება აღმოგვიჩინეს სამკითხველოს შენობის აშენებაში, კვლავაც გამოიჩინოს ასეთი ენერგია.

სიმონ გაჩეჩილაძე.

**ზიზღი ლაჩარს დეზერტირს, ხალხის რისხვა და კრულვა მუხანათ ყაჩაღს!**

## წერ. რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ბათომის ქართველთა ეროვნული საბჭო გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბათომის მოქალაქეს მელიქსედეკ პეტრეს ძე ნაჭყებიას, რომელმაც ბათომის ქართველთა ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ შემოსწირა ათასი მანეთი და შემდეგისთვის შეგვპირდა ყოველთვიურათ 1000 მ. დახმარებას.

საბჭოს პრეზიდიუმი.

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზ. „ერთობის“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ სოფ. კავთისხევის მცხოვრებთ ერასტი ცალქალამანიძეს და შალვა კოტეტიშვილს. პირველს, 22 სხვა და სხვა წიგნის შემოწირვისათვის კავთისხევის ერობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის და მეორეს გაზ. „ერთობის“ გამოწერისათვის.

კავთისხევის ერობის გამგეობა.

## ცნობები

დომენტი მაქსიმენის ძე კვიჟიძე მსახურებდა შავ ზღვაზე ირკუტსკის გემზე. 1 წელიწადი გავიდა მისგან არაფერი ცნობა არ მიგვიღია. უმორჩილესად გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ, გვაცნობოთ. მისამართი: ოზურგეთის მაზრა, სოფ. აკანა, ლიზა კვიჟიძისას, ან თფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 134, სოლომონ ჩხაიძეს.


## განცხადებანი

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და სააკუშერო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. აპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“. (2930—თ.)

ექიმი დ. გ. ჯაგახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ქალ. სა[illegible]რედიაში
ექიმი ი. ი. ჰეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფ. მისამართი: [illegible] ტელეფონი 35. (2950—თ.)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ვ. ჯინჯარაძე
შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა, გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიათი და წამლობა Х-ს სხივებით, დიდი სანიადაგო (?) და არსებული, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებიანი. მიღება საღამ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. მე-2 სახლი ანდრეევის (№ 74, ბინა № 1) ვაგზლის ქუჩების კუთხიდან. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი არუთინოვი.
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება. შინაგან სნ. ავათმყოფების დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. ვენერიულ (სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები) კაცების საღამოს 5—6 საათ. ქალების საღ. 6—7 საათ. „914“ „606“ შხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა (თ. 2816)

ექიმი ივ. ბოკერია
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულებით და სააკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95 (თ. 2744)

ექიმი ა. ლომინაძე
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ოზურგეთში
ექიმი ს. ვ. აბაშიძე
მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სნეულ. ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ქლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდიდ“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. კ. სიამაიშვილის სახლში.

ექიმი მ. ა. შაშრაძე
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

ექიმი დ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი ო. მ. ზოზორ-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

# განცხადება

დაარსდა სახალხო, საქარხნო საფაბრიკო ამხანაგობა

## „სახალხო მრეწველი“

ამხანაგობის მიზანია საქარხნო საფაბრიკო მრეწველობის განვითარება საქართველოში. პაი ღირს 500—1000 მანეთამდის, წესდების გაცნობა და პაის შეძენა შეიძლება: თფილისი: სამეურნეო ბანკი, ქ. სამტრედია—საურთიერთო ნდობის ბანკი, ქ. ხონში—სასოფლო ბანკი, მოკლე ხანში მოეწყობა აგენტურა საქართველოს ყველა ქალაქებსა და სოფლებში. საპაიო ფულს იღებს ამხანაგობის სახელზე მხოლოდ საკრედიტო დაწესებულებები.

(2965—2—1) გამგეობა.

## ყველა პარტიულ ორგანიზაციებს!

საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა დაამზადა და აძლევს ფასით პარტიულ ორგანიზაციებს შემდეგ საჭირო საგნებს: პარტიულ წიგნაკებს,—საქართველოს პირველ დამფუძნებელი პარტიულ ყრილობის გამომუშავებულ წესდებას. სარეგისტრაციო წიგნებს, უწყებებს პარტიულ მუშაობის მდგომარეობის და თანხის ტრიალისას, ოქვებს, საწევრო მარკებს, შემოსავალ და გასავლის ორდერებს, ერთდროულ გადასახადების წიგნაკებს, კვიტანციებს და სხვა. მისამართი: თფილისი, რუსთაველის პრ. № 24. კომიტეტის მდივანთან. (ფ. 7—1)

## თფილისის სამხედრო წისქვილი

იღებს სხვადასხვა დაწესებულებათა და კერძო პირთაგან დასაფქვავ ხორბლეულობას. დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება წისქვილის კანცელარიაში. ავლაბარი, პეტრე-პავლეს ქუჩა, № 48, სამხედრო მთავარ სასურსათო საწყობის ეზოში. (2950—3—2)